


გიორგი გაბლოევი



იმერეთის სამეფოს
პოლიტიკური ისტორია
(1465 - 1810 წლები)

სარჩევი

იმერეთი XVI საუკუნეში -----	3
იმერეთი XVII საუკუნის I ნახევარში -----	14
იმერეთი XVII საუკუნის II ნახევარში -----	21
იმერეთი XVIII საუკუნის I ნახევარში -----	31
იმერეთი XVIII საუკუნის ბოლოს -----	47



რედაქტორი: საჯარო სკოლის პედაგოგი ნათია სამაგლიშვილი
ტექნიკური უზრუნველყოფა: გიორგი ცუცქირიძე
მისამართი: გორი, შპს, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 41.
ტირაჟი: 50 ეგზ.
გორი, 2016 წელი

ISBN 978-9941-0-8495-9



იმერეთი XVI საუკუნეში

1465 წლის მცხუნვარე შემოდგომის ჯერ კიდევ გრილ დილას, ფარავნის მღვრიე ტბის ატალახებულ ნაპირთან გამართულ გაოფლიანებულ და აყაყანებულ სახელდახელო ბრძოლაში, სამცხის ათაბაგმა, დაუნდობელმა და უგულო ყვარყვარე ჯაყელმა, ისტორიის მორცხვი ქალღმერთ კლიოსაგან უკვე დასაღუპად და დასაშლელად განწირული ერთიანი ფეოდალური საქართველოს ბოლო მეფე, უსუსური გიორგი VIII-ე დაამარცხა, ტყვედაც ჩაიგდო, თავის ერთგულ და პირმოთნე ფარეშებს მაგრადაც აცემინა და ერთიანად დალურჯებულ-დასიებული მეფე, თავისთან, თიხის ქვიშით გამტვრიანებულ ახალციხეში, დიდ და ღრმა ქვევრში ჩააგდო.

ამ, საქართველოსთვის საბედისწერო მომენტიტ, ისარგებლა იმერეთის ნაყაჩადარმა ერისთავმა ბაგრატ ბაგრატიონმა, საჩქაროდ თებერვლის სუსხიან დილას ქართლში გადმოვიდა და თოვლით გადაპენტილ დიღმის მისადგომებთან თავი ქართლ-იმერეთის მეფედ გამოაცხადა. თავისი უნიჭო, მაგრამ დიდი ამბიციით გაფუყული თავი, რომ უკვე არარსებული ერთიანი საქართველოს მეფედ იგრძნო, ამ რწმენის მეტი განმტკიცების მიზნით გვერდზე ამოიყენა ვიღაც ალეპოელი ავანტიურისტი ებრაელი მიქაელი, რომელმაც თავისი თავი

ქართული ჭეშმარიტი მართლმადიდებლობის მთავარ დამცველად გამოაცხადა და ქართლში, სოფელ რუისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინ გადათოვლილ მოედანზე ნახირვით საჩქაროდ შეყრილ ხალხს ცრემლიანი თვალებით ათრთოლებულმა გაანდო:

- წინასწარ შელოცვილ და ნამარხულევ ძილში იესო ქრისტე გამომეცხადა და საქართველოს მეფედ აუცილებლად ბაგრატს მოინდომაო!

ამ წინადაცვეთილმა, ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს მართლმადიდებელმა პატრიარქმა თავისივე აზიური ენაწყლიანობის მეოხებით, ბაგრატის ტაძრის დახავსებულ სარდაფში შენახული უძველესი საეკლესიო საგანძური შემდგომში ისე ჯადოსნურად გააქრო, დღემდე რომ მის კვალს ვერავინ მიაგნო. მანამდე, კი გაყვითლებული, ხელნაწერი გრავიურებით გადავსებული „მცნებანი სასჯულო“ გამოუშვა, სადაც გულისშემაწუხებელი და სიტყვა-ღვარჟნილი ფუჭი მრავალსიტყვაობით „დაასაბუთა“, რომ თურმე, რადგან აღმოსავლეთ საქართველო წმ. ნინომ მონათლა, დასავლეთ საქართველო კი წმ. ანდრია პირველწოდებულმაო, ამიტომ აღმოსავლეთის და დასავლეთის ეკლესიები სხვადასხვა ეკლესიებიანო;

ავ საქმეს ავი სიტყვაც თან მოაყოლა ავმა კაცმა: ღვთისაგან მიტოვებულ ცაიშში ვინმე დავრდომილი და უკვე ასაკობრივ მარაზში გადასული, მიწამდე გრძელწვერა იოვაკიმე გამონახა და ლიხთიმერეთის კათალიკოსად დიდი მონდომებითა და საეკლესიო წესების დაცვით აკურთხა.

ენერგიული და ამბიციური ბაგრატის ამგვარი გააქტიურება მასზე კიდევ უფრო ამბიციურ ყვარყვარეს მაშინვე ძალზედ არ მოეწონა; აქოთებულ ქვევრიდან დიდი ბოდისმების მოხდითა და, - ოოიიიიია, დიდოოოო ღმერთოოო! ეს როგორ შეცვდი-ს ძახილით, ხველება ატეხილი და ტუჩებგალურჯებული მეფე გიორგი გაათავისუფლა და კომპენსაციის მიზნით, თან თავისი ათასჯერ გათხოვილ-გამოთხოვილი გოგო, მუდამ დაღონებული და მოკლევადიანობა თამარი გამოაყოლა ცოლად, უკვე გასათხოვარი შვილების მყოფ გიორგის, ხოლო მზითვად კი კათოლიკე მისიონერების მიერ ჩამოტანილი ვენეციური დიდი, გაცრეცილი სარკვე მიაყოლა.

მაგრამ თავგამოდებულმა და ამაყმა ქართლელებმა დამცირებულ-ღირსებააყრილი გიორგი თავის სირისტიან და გოგირდის მჟავე სუნად აქოთებულ თბილისშიც კი არ შეუშვეს და, დაღონებულ

„ვითომც მეფე“ გიორგის ისღა დარჩენოდა, რომ დოვლათ-ბარაქიან კახეთს გადასულიყო და 1466 წლის წვიმიან აღდგომა დღეს ამ რეგიონის მეფედ სირცხვილისგან გაწითლებული მორიდებით და თვალდახრილი გამოცხადებულიყო:

დასუსტებული და ურთიერთმიმართ მწარე მწვანე ბოლმით გაუცხოებული ქართული მონარქია ჩუმად და წყნარად ისე დაიშალა, რომ არც არავის გაუგია და არც არავინ შეშფოთებულა.

1478 წლის მართლაც რომ ნაადრევად აციებულ ოქროსფერ შემოდგომა დროს, ნეკრასთენიით დაავადებული რაჭაში სანადიროდ გადასული ქართლ-იმერეთის მეფე ბაგრატ VI მოიწამლა და კუჭის აშლილობით გარდაიცვალა. მისმა პოლიტიკურმა პასიამ, პატრიარქმა მიქაელმა, გარდაცვლილი მეფის ტანჯული სულის მოსახსენებლად აუცილებლად წმინდა ქალაქ იერუსალიმს უნდა ვილოცოო... და რატომღაც მატყუარა, მატყლივით გაჩეხილი თავი გერმანელი ტევტონთა ორდენის წევრებითა და თავდახრილი სევდიანთვალეზიანი აშკენაზი ებრაელებით გადატენილ ძველ ვილნოში ამოყო, თან რაღაც მჭიდროდ და საეჭვოდ საგულდაგულოდ დახუფულ-თოკგადაკრული მუხის ძველი სკივრები გაიმძღვარა წინ, რომლის თვალმოუხუჭავი დარაჯობა გადაკარგულ სოფელ ჩხარიდან სასწრაფოდ ჩამოყვანილ რამდენიმე წვერმოშვებულ გასაცოდავებული სახის ებრაელს დაავალა;

გარდაცვლილი მეფის ძემ, კურდღელივით მხდალმა ალექსანდრემ მამის დანატოვარი, ღალატით გაჯერებული, ნაძალადევად მკვდრად შობილი მემკვიდრეობის სრულად დაპატრონება ვერ შეძლო და დამფრთხალმა მხოლოდ გატყევებული იმერეთიღა შეინარჩუნა; ნარცისივით მუდამ თავმომწონე ქართლში კი 1479 წელს გამეფდა ყოფილი ერთიანი საქართველოს ბოლო მეფის, გიორგი VIII-ის ნახევარძმის დემეტრეს შვილი, დაუდევარი კონსტანტინე. მან სასწრაფოდ და დაუყოვნებლივ გადაწყვიტა აღარ არსებული ქვეყნის გაერთიანება და ამ სანერვიულო საქმის პროლოგად მშობარა ალექსანდრე იმერეთის მორყეულ ტახტიდან რაჭის უდაბურ და გაუვალ ტყეებში გააგდო;

მაგრამ კონსტანტინეს პოტენციურმა გაძლიერებამ ისევ ხარბი და დაუღალავი ყვარყვარე შეამფოთა და დააფრთხო ახალციხეში და 1483 წელს სოფელ არადეთთან მდინარე ფრონეს ალვის ხეებით გადავსებულ წყნარ ნაპირას გამართულ ბრძოლაში, რომელსაც გულმოკლულმა პატრიოტმა ქართველებმა „სისხლიანი კვერი,, უწოდეს, ენერგიული კონსტანტინე სასტიკად დაამარცხა. მისი დამარ-

ცხებით ისარგებლა გახარებულმა მშიშარა ალექსანდრე ბაგრატის ძემ, ტყიდან უჩუმრად გამოვიდა და იმერეთის ტახტი მორცხვად დაიკავა.

1487 წელს აგრესიულმა კონსტანტინემ მას იმერეთის ტახტი ისევ წაართვა, მაგრამ, იმავე დაწყველილ წელს, კონსტანტინეს აქტიურობით გაწამებული იმერელი დიდებულების ჯიუტი თხოვნა-მუდართი, ქართლში დაუღალავი კონსტანტინეს წინააღმდეგ თურქმანული გრძელი ზურნების გამაყრუებელი წივილითა და უზბეკური დაირების ბრაგა-ბრუგით შემოდის ირანელი ცალყურა სარდალი იაყუბ ხანი. ეხ, ეს ყური ადრე, ახალგაზრდობაში, ველურმა ტაჯიკებმა მოაჭრეს უდაბურ ყანდაგარში ლაშქრობისას;

ირანელების ქართლში შემოსვლით ისარგებლა ალექსანდრემ და იმერეთი ისევ და ახლა უკვე, საბოლოოდ დაიკავა, ხოლო 1489 წლიდან იმერეთი ფაქტიურად საერთოდაც გამოყო „ამ ღვთის რისხვა და ქრისტეს ნეკის მკვნეტელს“ ქართლს.

1490 წელს ყველაფრით და ყველაფერზე განერვიულებულმა კონსტანტინე II-მ ზაფხულის სიცხით გათანგულ, გამტვრიანებულ თბილისში სამეფო დარბაზის სხდომა მოიწვია „ამ დაწყველილი“ იმერეთის დაქსაქსული სამეფოს საქმეების გამო, რომელის შესახებ წითელ ისპაჰანურ ყურთბალიშებზე შემომსხდარმა პატივცემულმა ქართლის დიდებულმა პოლიტიკურმა გვამებმა სასწრაფოდ იმსჯელეს და გულიანი მთქნარებით ჭრელ მუთაქაზე გადაწოლილ გაბერილ თავად დავით ამილახვარის თამადობით განაცხადეს:

„...ვინაიდან მტკიცედ დგანან ერთგულებათა ზედა თვისთა რჩეულთა მეფეთა იმერნი და კახნი და კვალად ათაბაგისა სამცხელნი, ამისათვის არა გაგიზრახავთ ბრძოლისა... ვიცადოთ ჟამი,, - ე.ი. ქვეყნის დაშლა იურიდიულადაც დასაბუთდა და 1491 წელს, მეტი რაღა უნდა ექნა, დაბოლმოდმა კონსტანტინემ და ძალით მოცინარმა პირმოთნე ალექსანდრემ პირზე დიდის კოცნა-ხვევნით ზავიც კი შეკრეს.

გაწამებული ქვეყნის უგემური დაშლით დიდად გაიხარა გარეშე თუ შინაურმა მტერმა; ყავის სუნით გაჟღენთილ ისტამბულსა თუ ინდური სუნელებით აქოთებულ ისპაჰანის საბაზრო მოედნებზე მუჰამედის საღვთო მწვანე დროშები აფრიალდა ურწმუნო გურჯისტანის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო ამ მომავალ ბრძოლებში მონაწილეებს კი კიპარისივით აშოლტილი ჭრელი მინარეთებიდან აწივლებულმა მუეძინებმა ედემისაკენ სავალი ყველაზე მოკლე და სასიამოვნო გზა უწინასწარმეტყველეს...

1510 წლის მწველ აგვისტოს, მწვანე და წითელ ატლასებში გამოწყობილი ოსმალთა იანიჩრების ველური ურდოები პირველად იჭრებიან ნაირფერად აჭრელეზულ იმერეთში, მუდამ თრიაქითა და შირაზული ვარდის ზეთის სუნად გაჟღენთილ უფლისწულ სელიმის მეთაურობით. იმერეთის გაუკვალავ და ტალახიან გზებზე მათ ერთგულ და ბეჯით მეგზურობას უწევს სამცხის კოჭლი ათაბაგი მზექაბუკი ყვარყვარეს ძე, რომლის მიზანი იმერეთის სამეფოს სასურველი დასუსტება და მისი სამეფო საჭურველის ხელში ჩაგდება იყო. მათ მოარბიეს იმერთა სატახტო ქალაქი ქუთაისი და რადგანაც ზამთარი ახლოვდებოდა, ზეკარის უღელტეხილი ზავებით რომ არ ჩაკეტილიყო, სასწრაფოდ უკან გაბრუნდნენ, თან კი სამხედრო ალაფად იმერული სოფლების ორღობებიდან მოტაცებული ატირებულ-აკივლებული გოგო-ბიჭები და ქალაქის გარეუბნიდან გამორეკილი, ზღავილით გამსკდარი საქონელი გამოიმძღვარეს.

იმავე წელს, შემოდგომისას, მამის მსგავსად კუჭის აშლილობით კვდება ალექსანდრე II-ეც და მეფდება მისი ზედმეტად ენერგიული ძე ბაგრატ III-ე, რომელმაც მოღალატე სამცხის მწარედ დასჯა გადასწყვიტა. მან დიდი შეპირებებითა და დაუსრულებელი ხვევნა-კოცნით შეიკავშირა ძლიერი მთავრები გურიელი და დადიანი და ყველანი ერთად დიდი ხმაურითა და იარაღის ჩხარა-ჩხურით გადატრუსულ სამცხეს ერთობლივად შეესივნენ. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1535 წლის სიცხით ადუღებულ სექტემბერს ახალქალაქთან ახლოს, გატილიანებულ სოფელ მურჯახეთს, სადაც ბაგრატმა გაიმარჯვა, კოჭლი ათაბაგი მზექაბუკი ტყვედაც კი ჩაიგდო (რაა, სირბილით გაასწრებდა თუ რა?) და ათი წლის განმავლობაში, ეს არაფრის მაქნისი სამცხე იმერეთს შემოუერთა. გამარჯვებით გახარებულმა ბაგრატ III-ემ, რომელსაც თურქები „ბაში-აჩუკს“, ანუ თავზე ხელაღებულს უწოდებდნენ, დახმარებისათვის გულაჩუყებულ გურიელს აჭარის ნესტიანი მიწები გადასცა, ხოლო ფლიდ დადიანს კი სიტყვიერად დიდი და გულმხურვალე მადლობა გადაუხადა და თან ფეშქაშად რამოდენიმე გაუწვრთნელი, ქეციანი მიმინო გაუგზავნა, რითაც იგი ძალზედ უკმაყოფილო დატოვა.

იმერეთში, გელათის ეკლესიის გრაგნილი რკინით აჭედოლ დახავსებულ სამრევლოში ტყვედ მყოფი კოჭლი მზექაბუკის ვაჟი, ბნედიანი ქაიხოსრო და სამცხის რენეგატი თავადი, დიდი შაჰ აბასის მომავალი პაპა, ოთარ შალიკაშვილი მაშინვე უკანმოუხედავად, ჭრელი სწრაფმავალი რაშებით ირანს გავარდნენ და „დიდ და ღმერთის

სადარ“ შაჰს შესთხოვეს დახმარება და დაცვა ამ „ქრისტეს რისხვა“ იმერლებისაგან. ბრძოლებით დაუღალავი შაჰ თამაზ სეფევიდი ამ დროს ველურ ავღან ტომებთან ომებით იყო დაკავებული უპატრონო ბელუჯისტანში და ვერ შეძლო ამ „თავისი საწყალი შვილების მესხების“ დახმარება. დახმარება ამ გაჭირვებულმა სამცხელებმა ისევ თურქებისაგან მიიღეს – სულთანმა სოლეიმანმა იმერეთის წინააღმდეგ 1543 წელს არზრუმის ბეგი, ცალთვალა მუსტაფა ფაშა გამოგზავნა. მომავალ ბრძოლაში ბაგრატ III-ეს გვერდზე დავალებული გურიელი დაუდგა, ხოლო ნაწყენმა დადიანმა მედიდურად და წყენით შემოუთვალა:

- ნეტავ რა შემომემატება ჩემის ჯარის გაწყვეტითაო...

ეს დაუნდობელი ბრძოლა მოხდა დამშეული ქურთებით გადაჭედებულ დასახლება ქარაღაქს და დადიანის გულის გასახეთქად იმერლებმა გაიმარჯვეს. სხვათა შორის, ამ ბრძოლაშივე დაიღუპა ეს ცალთვალა მუსტაფა ფაშაც.

იმერლებმა გაიმარჯვესო? არა! ამის მოთმენა, როგორ შეიძლებოდა? ამიტომაც, 1545 წელს დაუღალავი ოთარ შალიკაშვილისა და ათაბაგ ქაიხოსროს დიდი ტირილისა და ასლოკინებული მოთქმით ხვეწნა-მუდარის შემდეგ, ოსმალეთმა არზრუმის ახალი ბეგის სარდლობით კვლავ გამოგზავნა ჯარი იმერეთის დასასჯელად. ბაგრატ III-ეს გვერდზე ისევ გურიელი და კიდევ, ქართლის მეფე ლუარსაბ I-ი დაუდგნენ, ხოლო ლევან დადიანმა კი ახლა უკვე მორიდებით, მაგრამ, კვლავ უარი განუცხადა დახმარებაზე და ოღონდ, უარის მიზეზად ქრონიკული შაკიკი მოიგონა;

მაგრამ რა იცო, იქნებ ეხლაც გაემარჯვა ამ ქუდბედიან, დაწყევლილ ბაგრატს, ჰა?... ამიტომ, ყოველ შემთხვევისათვის, ლევან დადიანმა მეფეს ბედიიდან წამოღებული, თუ მოპარული დიდი, ძველი, ბიზანტიური მანერით შესრულებული, ოქროსფერით უხვად მოვარაყებული ღვთისმშობლის ოდიგიტრიის ხატი გამოუგზავნა ჭყონდიდელი უბრალო მღვდლის ხელით.

ამ საბედისწერო ბრძოლის დაწყების წინ იმერლები თბილისიდან გადმოსულ ომახიან სიმღერით გადაღლილ ქართლებზე განაწყენდნენ - ძალზედ თავგამოდებულად და ამრეხით გვიყურებენო, და თუ არა უკვე ზედ ცხვირ-პირთან მომდგარი საერთო მტერი, დაუნდობელი ბრძოლა უკვე მათ შორის მოხდებოდა. ზურნების ჭყვიტინით გაბრუებულ ოსმალებთან ეს გაჭიანურებული ბრძოლა როგორც იქნა მოხდა 1545 წელს სოხოისტას ხრიოკ ველზე - ბრძოლის დროს

გააგებულმა და დაბოღმილმა იმერლებმა შეგნებულად უკან დაიხიეს, რომ ეს თავგამოდებული ქართლები რაც შეიძლება უფრო მეტი დახოცილიყო (არა ბიჭო, ამ თავგამოდებას აპატიებდნენ, აი!). ამიტომაც ამ ურთიერთ ქიშპის გამო ეს ბრძოლა ყვირილით ყელდამსკდარმა თურქებმა მოიგეს და სამცხე საბოლოოდ წართვეს იმერეთს, სადაც ათაბაგად იმერლებზე გამარჯვებით გახარებული ქაიხოსრო დანიშნეს, რომელსაც მოზღვაებული სიხარულისაგან ყოველ წუთიერად გული მისდიოდა და პირიდან ქაფიანი დუჟი სდიოდა.

ეეხ! რა იცოდა ამ ბნედიანმა ქაიხოსრომ, რომ მალე მის საყვარელ სამცხეს ოსმალები სახელს გამოუცვლიან და ჩილდირის ვილაიეთს დაარქმევენ, ხოლო ხმაურიანი მდინარე ფოცხოვის პირას, წითელი აგურით გარშემორტყმულ რაბათის დასახლებაში კი თეთრი მინარეთები აისვეტებოდნენ და მუეძინის გამყინავი ხმა გააყრუებდა ძველ ქართულ არემარეს.

სოხოისტას ბრძოლამ აშკარა გახადა, რომ საქართველო ერთიანი ძალებით ვეღარ ილაშქრებდა და ქვეყნის დაშლა უკვე სულიერადაც გაფორმებულიყო. ამას დაემატა 1555 წლის დამპალი ამასიის ზავი, რომლის ძალით დასავლეთ საქართველო ოსმალთა გავლენის სფეროდ გამოცხადდა. სწორედ ამ დროს გაჩნდა იმერეთის სამეფო ბეჭედზე ცნობილი წარწერა: „მონა ვარ ღვთისა, ყმა ხონთქარისა!“

სოხოისტას ბრძოლის შემდეგ იმერეთის მეფის უკვე დეკორატიულ-გაუფერულებული ძალაუფლება ისე ძლიერ შესუსტდა, რომ მას ფორმალურადაც ემორჩილებიან მანდატურთუხუცესი დადიანი და ამირსპასალარი გურიელი; ამასიის ზავის შემდეგ კი დაღონებული ბაგრატ III-ე იძულებულია თურქებს ხარკიც უხადოს - და აი, ამ დროს ჩნდება სამარცხვინო „ტყვეთა სყიდვა“, რომლის დასაძლევად იმედდაკარგულმა ბაგრატმა საეკლესიო კრებაც კი მოიწვია ქუთაისს; მოწვეულებმა ძველ, დახეულ, ხელნაწერ ბიბლიაზე დიდი მოწიწებით, აცრემლებული თვალებითა და ათრთოლებული ხმით წმინდა ფიციც დადეს და ერთმანეთიც ძმურად გადაკოცნეს, მაგრამ ამაოდ.

ბაგრატ III-ემ დაინახა, რომ სოხოისტას ტრაგედია სამთავროების ლიდერთა ღალატის წყალობით მოხდა, რომლებიც ყველანაირად ცდილობდნენ, რომ მეფის ხელისუფლება არ გაძლიერებულიყო, და ამიტომ მათი დასჯა გადაწყვიტა: 1546 წელს ოდიშის ურჩი მთავარი ლევან დადიანი ვითომ ხონის ჭალაში კურდღლებზე სანადიროდ მიიპატიჟა და დაატყვევა. შემდეგ „სანადიროდ“, მიიპატიჟა გურიელი, მაგრამ იგი ეშმაკობას მიუხვდა, არ გამოცხადდა და შემფოთებულმა

საჩქაროდ სამცხეში შიკრიკი აფრინა.

ბაგრატის ამ გამბიტიტ ქაიხოსრო ათაბაგი მიხვდა, რომ ბაგრატ III-ე არ უნდა გაძლიერებულიყო; ამიტომ მან გელათის სამრეკლოში დატუსაღებული დადიანის ელამი მცველი ხოფილანდრე ჩხვიძე ოქროთი და ჩითის საკმაოდ გრძელი ნაჭრით მოისყიდა და დადიანი ახალციხეში გადმოაყვანინა. აქვე ჩამოვიდა გურიელიც და აქვე მიიღეს მათ საჭირო გადაწყვეტილებებიც: დადიანი ოდიშში ისევ სიამოვნებით გამთავრდა, გურიელმა გურია იმერეთს ოფიციალურად გამოყო, ხოლო თავი უშიშრად რომ ეგრძნოთ, სამივე მთავარი 1553 წელს არზრუმის ფაშის ამაღლის წევრები გახდნენ და საჩუქრად მწვანე ატლასის ხალათები და ცხვირაპრებილი წითელი ფლორენციული ბარხატის ფლოსტები მიიღეს.

ახლა ბაგრატ III-ემ გადაწყვიტა, რომ ამ თავსწასული მთავრების შემდგომი დაახლოება არ დაეშვა: ამიტომ, როდესაც გურიას ოსმალთა მარბიელი რაზმები შემოესივნენ, გურიელმა დახმარება ბაგრატ III-ს და დადიანს სთხოვა. ბაგრატმა თავისი ძმა ვახტანგი გაუშვა ჯარით, რომელსაც არ უნდა დაეშვა ლევან დადიანის გურიაში ჩამოსვლა, ამიტომ ძმებმა ჭორი გაავრცელეს – მეფეს და გურიელს ლევანის დაჭერა და ოდიშის გაყოფა აქეთო ჩაფიქრებულიო. ლევანი შეშინდა და აღარ ჩამოვიდა. აღარც ვახტანგი მიეხმარა გურიელს და ქიშპი მათ შორის კიდევ უფრო გაღრმავდა.

1565 წელს გარდაიცვალა ბაგრატ III-ე და გამეფდა მისი ძე გიორგი II. ლევან დადიანმა შეთქმულება მოაწყო ახალი მეფის წინააღმდეგ, მაგრამ გიორგი II-ემ სძლია შეთქმულთ, ხოლო სავარაუდოდ სავალალო შედეგებით შეშინებულმა ლევანმა პირველად გამოიყენა ოსმალთა ჯარი გურიელისა და მეფის წინააღმდეგ. შედეგად გიორგი გურიელმა თავისი თემოსავსე ცოლი, ლევანის გოგო, ბოზობის საბაბით სახლიდან გააგდო, საპასუხოდ კი დადიანი გიორგი გურიელის დას გაეყარა. გიორგი II-ემ ამით ისარგებლა და თავისი ქვრივი და შერთო გურიელს. ახლა დადიანს არ მოეწონა მეფე-გურიელის ამგვარი ოჯახური დაახლოება: მან მიიმხრო გიორგის ძმისშვილი ფსიქოპათი ხოსრო ვახტანგის ძე და ორივემ ერთად გადაწყვიტეს მეფის მოკვლა, მაგრამ ეს გეგმა ვერ გამოუვიდათ; შემდეგ დადიან-ხოსრომ მეფეს 1568 წელს იანეთში სახელდახელო ბრძოლაც გაუმართეს, მაგრამ ისევ დამარცხდნენ და მტრობა მეფე-გურიელსა ერთის მხრივ და დადიანს შორის კიდევ უფრო გაძლიერდა. შეშინებული დადიანი ისევ აღთქმულ ისტამბულს

გავარდა საჭირო დახმარებისა და დაცვისათვის. სულთანმაც ტრაპიზონის გარნიზონის დამშეული ჯარი გამოატანა და ოსმალურ-მეგრული ეს უნიჭოდ ნაზავი ჯარი სოფელ სატყეპელაში ჩადგა.

ამ ნაბიჯით შეშინდა გიორგი გურიელი: მან ლევანს შვილის გამოგდებისათვის 10 000 დრაჰკანი გადაუხადა და ისევ დამეგობრდნენ. ამის გამო, ძალზედ შეშფოთებული გიორგი II-ე კონტრზომებს იღებს: დადიან-გურიელის პოლიტიკური ალიანსი რომ ჩაშალოს ვარაზა ჭილაძეს სთხოვა დადიანის მოკვლა და ოდიშის მთავრად გამოცხადებას შეჰპირდა, მაგრამ ჭილაძე გურიელ-დადიანმა ერთობლივად დაამარცხეს.

1572 წელს კვდება ლევან I დადიანი და ოდიშის მთავარი ხდება მისი ძე გიორგი. გურიელ-დადიანის კავშირი, რომ არ გაღრმავებულიყო, მეფე გიორგი II-ემ გიორგი დადიანის და თავის შვილს ბაგრატს შერთო. მეფე-დადიანის ამგვარი „დამოყვრება“ კი გურიელს აღარ აწყობდა: მან გადმოიბირა გიორგი დადიანის ძმა მამია, გურიაში ჩამოიყვანა, შერთო თავისი ათას კაცში ნათრევი და, და ორივე ერთად სიძე-მოყვარე ოდოიაას-ს ძახილით ზუგდიდში შეეჭრნენ გიორგი დადიანს. დამფრთხალი გიორგი აფხაზეთში გაიქცა. გურიელი მეფე გიორგი II-ეს შეუთანხმდა, რომ თუ იგი მამიას გამთავრებას ხელს არ შეუშლიდა, მეფეს ჭილაძეთა მიწებს გადასცემდა. მეფე დახარბდა და დათანხმდა. გიორგი დადიანმა სცადა, რომ ზუგდიდი აფხაზთა დახმარებით დაებრუნებინა, მაგრამ ვერა გააწყო და აცრემლებულმა თხოვნით მიმართა მეფე-გურიელს პატიებისათვის. გურიელმა ადრე გადახდილი 10 000 დრაჰკანის უკან დაბრუნება მოსთხოვა, ხოლო გიორგი II-ემ უბრძანა ცოლად შეერთო მისი ცოლის და – ველურ ჩერქეზთა ბატონის შვილი. გიორგი დადიანი პირობებს დათანხმდა და ისევ გამთავრდა, ხოლო მამია დადიანს ჭილაძეთა მამულები გადასცეს კომპენსაციისათვის.

მაგრამ, ამ გატყევებულ მიწებზე პრეტენზია გიორგი დადიანის ბიძას, სახენაიარევ ბათულიას ჰქონდა, ადრე ახალგაზრდობაში, ცხენების მოპარვის დროს, რომ დაუსერეს. ჰოოო და, ბათულიამ ახლა გაიხსენა, რომ სავაჟკაცედ ჟინმორეულმა გიორგი დადიანმა, ადრე მისი ცოლი ჰყონდიდის გარეუბანში, ჭადრიანში რომ გააუპატიურა და, ამ საბაბით თავს დაესხა გიორგი დადიანს. გიორგი დადიანს მეფე გიორგი II-ე მიეხმარა, ბათულია დამარცხდა და თავი გიორგი გურიელთან შეაფარა. გიორგი II-ე გიორგი გურიელს

ბათულის მოკვლისათვის მიწებს შეჰპირდა და მანაც დიდი სიამოვნებით ბათულია ცხენის ძუის თოკით დაახრჩობინა.

ამ გაუგონარ არეულ-დარეულ ვითარებაში პოლიტიკურ-სტრატეგიული მდგომარეობა აშკარად აჩვენებდა, რომ არც მეფეს და არც დიდებულებს, დამოუკიდებლად სასიხარულო და სასურველი გამარჯვება არ შეეძლოთ და იძულებულნი არიან ერთმანეთთან ინტრიგებით მოაგვარონ საქმეები.

ამასობაში კი, XVI სისხლიანი საუკუნის ბოლოს იასამნის სურნელით გადავსებულ და ბაიათებით გაყრუებულ თავმომწონე ირანში შიდაპოლიტიკური ანარქიით ისარგებლა ოსმალეთმა და 1578 წელს ჩილდირის ხრიოკ ველზე ლალა ფაშას სარდლობით ირანული ჯარი ფრანგული წარმოების ბრინჯაოს დიდი ზარბაზნების კვამლიანი გასროლით პირწმინდათ გაანადგურა, ამასიის ზავის პირობები გააუქმა და გამტკრიანებული თბილისიც კი აიღო. გეგმაში იმერეთის დაპყრობაც ჰქონდათ, მაგრამ ქუთაისთან გიორგი II-ემ გაბუჩქული ლიხის ქედს გადმოვლილი დაღლილი ოსმალთ ჯარი ადვილად დაამარცხა. ამიტომ ოსმალებმა იმერეთის დაპყრობის გეგმა შეცვალეს: 1579 წელს ადმირალ კილიჩ ალი ფაშას 60 ალჟირული ხომალდი, რომელთა ნახევარს ესპანეთისაგან წართმეული გალიონები შეადგენდა, მდინარე რიონის შესართავს მიადგა და პრობლემით სავსე ფოთის ნავსადგურის შენება დაიწყო. პრობლემას კი ის ჰქმნიდა, რომ ჩქარი მშენებლობით შემფოთებული გიორგი II-ე თურქთა მიერ დღისით აგებულს ღამე იგივე სიჩქარით ანგრევდა. სულთანს მურად III-ე უკმაყოფილო იყო ლალა ფაშას მოდუნებული მოქმედებით, თანაც ქართლში ოსმალებს დაუპირისპირდა თავმომწონე ირანელთა მიერ ალამუთის აუღებელ ციხიდან გამოშვებული მუდამ თრიაქის მწარე სუნად გაჟღენთილი ქართლის მეფე დაუღალავი სვიმონ I-ი, რომელმაც ჯერ ერთი, თბილისის ოსმალურ გარნიზონს წყალი გადაუკეტა და მეორეც, მოწყურებული იანიჩრების დასანახად ქართველები დღე და ღამე ჟივილ-ყივილით დაუღალავად წუწაობდნენ. ამიტომ ოსმალებმა თბილისის განმგებლად ჭამით გასიებული მუჰამედ ფაშა ჰაჯი ბეგ ზადე ფეხებდასიებული აჰმედ ფაშათი შეცვალეს, მაგრამ... შედეგი ისევ იგივე იყო.

ამასობაში ქართლის გამგებელ ლალა ფაშას შემცვლელი წითელი ინით უზვად წვერშელებილი სინან ფაშა ჩამოდის ქართლში, რომელსაც თან სიამოვნებით სახეგაზადრული სამცხელი მთავრები ყვარყვარე და მანუჩარი ახლავს. ყვარყვარე მან იმერეთის მეფესთან გაგზავნა, რათა

გაეფრთხილებინა, რომ ქართლელ სვიმონ I-ს არ დახმარებოდა, სამაგიეროდ კი თბილისის გამგებლად ფეხებდასიებული აჰმედ ფაშას ნაცვლად გიორგი II-ის შვილი, რახიტიანი მამია დანიშნა. ამით ნასიამოვნები და გულაჩუყებული გიორგი II-ე იმერთ საჩქაროდ მოგროვილი ჯარით ქართლში გადმოდის და ქართლის დაუცველ სოფლებს მტრისათვისაც კი შესაშური დაუნდობლობით აოხრებს ოსმალთა გულის მოგების მიზნით.

დასავლეთ საქართველოში კი ანარქია ძლიერდება: 1582 წელს მოკვდა გიორგი დადიანი და ოდიშში გამთავრდა მისი ძმა მამია, რომელიც მეორე დღესვე გურიელს მიეჭრა და სასტიკად დაამარცხა. გურიელი ისტამბულში გაიქცა. მამიამ მონახა გიორგი გურიელის შორეული ნათესავი, ვინმე ვახტანგ გურიელი და ოზურგეთში ოფიციალურად მთავრად გამოაცხადა. ამ ფონზე, 1583 წელს მიზანთროპულ აზრებით გაჯერებულმა მეფე გიორგი II-ემ დაატყვევა თავისი ძმა კონსტანტინე და მისი ძე როსტომი და ღრმა ორმოში ჩაყარა, რომ მომავალში მის საყვარელ ძეს ლევანს მეფობაში არ შეცილებოდნენ. 1586 წელს გიორგი II-ე გარდაიცვალა და გამეფდა მისი 12 წლის ძე ლევანი. ამით ისარგებლა ზიძამისმა კონსტანტინემ, ორმოდან გამოიპარა (თუ გამოაპარეს?) და ძმისშვილს აუჯანყდა. ლევანმა საჩქაროდ შეირთო (თუ შერთეს?) მამია დადიანის გრძელცხვირა და მუდამ სევდიანი ასული მარეხი და სიმამრის დახმარებით 1587 წელს აჯანყებული ზიძა დაამარცხა.

იმერეთში ანარქიით ისარგებლა ქართლის მეფემ სვიმონ I-მა და მისი შემოერთება გადაწყვიტა. ბრძოლა მოხდა 1588 წელს გოფანთოს. ერთმანეთის შურით გურიელი და დადიანი ამ ბრძოლაში არ გამოცხადდნენ. შესაბამისად, ლევანი დამარცხდა და უიღბლო თავის გადასარჩენად ლეჩხუმში გაიქცა. სვიმონ I-მა ქუთაისი აიღო, იქ თავისი, თავგამოდებული მეტიჩარა ქართლელი ჩინოვნიკები დანიშნა და ბაღებში ჩაფლულ გორს მობრუნდა. მაშინვე ლევანი საჩქაროდ ყრუ ლეჩხუმიდან ჩამოვიდა, საჩქაროდვე ქუთაისი ისევ აიღო და საჩქაროდვე გადაწყვიტა მოღალატე სიმამრი დაესაჯა, მაგრამ 1590 წელს გოფანთოსთან ბრძოლაში მამია დადიანმა სიჩქარის მოყვარული სიძე, მეფე ლევანი დაატყვევა, შხეფის ნესტიან ციხეში გამოკეტა და სასტიკი დასჯაც გადაუწყვიტა, მაგრამ დაკოდვის დროს ხელში შემოაკვდა; ტახტთცარიელ იმერეთში მეფდება ლევანის ზიძაშვილი როსტომ კონსტანტინეს ძე. ეს დადიანის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ გამარჯვებით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა, იმავე წელს

თვითონაც კვდება და მის ადგილს იკავებს მისი ძმა მანუჩარი. ამ მომენტიტ ისარგებლა გურიელმა, დილაადრიან საჩქაროდ შეყრილ ჯარით დაეცა მძინარე ქუთაისს, გააგდო ძილ-ბურანში მყოფი მეფე როსტომი და ტახტზე მისი ნათესავი ბაგრატი გაამეფა, თანაც მეტი უშიშროებისათვის ქუთაისში თან მოყოლილი ოსმალთა გარნიზონი ჩააყენა.

ამგვარი ვითარება კი ქართლის მეფე სვიმონ I-ს აღარ მოეწონა, ახმაურებულ ჯარით ისევ შევიდა ქუთაისში, ბაგრატი დაატყვევა და ქვეყანა ისევ თავის მარად მშვიდ ჩინოვნიკებს დაუტოვა და თვითონ ისევ გორს მობრუნდა. სვიმონის წასვლით ისარგებლა მანუჩარ დადიანმა, სიმწრით აყვრებულ-აწიოკებული ქართლელი ჩინოვნიკები უკლებლივ ყველანი ხეებზე თავდაყირა ჩამოვიდა და ხმაურიანი შემახილებით ქუთაისში ისევ როსტომი გაამეფა. ამით გაბრაზებულმა, დაუღალავ-მოუსვენარმა სვიმონ I-მა ქუთაისი ხელახლა ისევ აიღო 1590 წელს, უნდოდა როსტომის დატყვევებაც, რამეთუ იმერეთში სხვა ბაგრატიონი აღარ რჩებოდა და იმერეთს იურიდიულად შემოიერთებდა, მაგრამ როსტომმა დადიანთან გაქცევა მოასწრო. გაბრაზებული სვიმონი ქართლ-იმერელთა გაერთიანებული ჯარით ზუგდიდს გაემართა. ენერგიული სვიმონ I-ის იმერეთში გამეფება თავნება იმერელ დიდებულებს აღარ აწყობდათ, ამიტომ ოფშკვითის ბრძოლაში სვიმონს უღალატეს, დამარცხებული მეფე ისევ ქართლს სტვენითა და ქვების სროლით გამოაგდეს და ქუთაისის ტახტზე შესაბამისად როსტომი აღმოჩნდა.

იმერეთი XVII საუკუნის I ნახევარში

დიდი ცვლილებების პერიოდი დადგა იმერეთის არეულ-დარეულ სამეფოში ამ დროს. და ეს ცვლილებები არც თუ სახარბიელო იყო თვით იმერეთისათვის - დამოუკიდებელ და თავს გასულ გურიის და ოდიშის სამთავროებს ახლა მიემატათ აფხაზეთი, სვანეთი და რაჭა, ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ: ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალია აკლდაო! ყოველივე ამას თაობათა ძალზე მტკივნეული ცვლაც ემატება:

1605 წელს მეფე როსტომ კონსტანტინეს ძე წყნარად და უშვილოდ კვდება. ამიტომ იმერლებმა მეფედ საჩქაროდ აკურთხეს მისი ნახევარძმა გიორგი, რომელიც მამამისს კონსტანტინეს ამწვანე-

ბულ ხარაგოულში საგასტროლოდ ჩამოსული ვიღაც ახალციხელი ვნებიანი, გრძელნაწნავიანი მემკვიდრე ყავდა.

1600 წელს ნადირობისას, ვითომ შემთხვევით კვდება გიორგი გურიელი და მთავრდება მისი მე მამია II.

მანუჩარ დადიანის სიკვდილის შემდეგ კი, 1611 წელს ოდიშში მთავრდება მისი მე ლევან II.

1590 წელს ერთმანეთზე რძალ-დედამთილივით გადაკიდებული ირან-თურქეთი როგორც იქნა დაზავდნენ. დროებითი დამშვიდების ამ ხანმოკლე პერიოდით ისარგებლა ირანის შაჰმა, გრძელუღვაშმა აბას I-მა და ქართლ-კახეთის დაუნიღბელი და შესაშური აოხრება დაიწყო. კახეთისა და ქართლის შემინებული მეფეები თეიმურაზ I-ი და ლუარსაბ II-ე ტყიან, მაგრამ მაინც ოსმალეთის დაცვის ქვეშ მყოფ იმერეთში დაიმაღნენ. ასე უფრო უშიშრად იყვნენ. ამით გაავებულმა შაჰ აბას I-მა იმერთ მეფეს მათი გადმოცემა კატეგორიულად მოსთხოვა, მაგრამ გიორგი III-ემ ამგვარ უტაქტო მოთხოვნას უტაქტო უარი შეუთვალა და თან ირონიულად მიაყოლა:

- თუ შენის ჯარი იმერეთს შემოვა, ქვეყანა იმეთ ცარიელი მაქვს, რომ ღომის მეტს ვერაფერს იშვო.

სიბრაზით ტუჩგალურჯებულმა ირანის შაჰმა იმერეთში შესვლა ფიზიკურად თვალმომზირალი ოსმალეთის შიშით ვერ გაბედა და ქართლის მოღალატე თავადის, ამაყად უღვაშ აპრეხილ შადიმან ბარათაშვილის დახმარებით მხოლოდ გულუბრყვილო ლუარსაბის გადმოტყუება შესძლო.

ამასობაში კი გახარებულმა ოსმალებმა დიდებული ხონთქრის, „ალაჰის სადარ“ მეჰმედ II-ის ფათჰის წინამძღოლობით სამყაროს ქრისტიანული ჭიპი - ბრწყინვალე კონსტანტინოპოლი აიღეს და დაბეჩავებული კავკასია ქრისტიანულ სამყაროს მთლად მოსწყვიტეს. ერთადერთ იმედად მართლმადიდებელ ქართველობას მართლმადიდებლური რუსეთი გამოუჩნდა; ამიტომაც 1618 წელს იმერთ მეფემ და მამია გურიელმა რუსეთის ახლად არჩეულ დისტოფიკ მეფე მიხაილ ფიოდოროვიჩს, რომანოვთა დინასტიის პირველ წარმომადგენელს, დიდი მონდომებით თურქულად დაწერილი მფარველობითი თხოვნის გრძელი უსტარით მიმართეს, მაგრამ წერილის წამღები თვით დამშეულმა იმერლებმა რაჭის ტყეში დაიჭირეს და მოკლეს ფულისა და ახალი ჩექმების გამო.

გასაკვირი აქ რა თქმა უნდა, არაფერი იყო, რამეთუ იმერეთის მხარე იმდენად ღარიბი იყო, რომ ამ დროს მოსახლეობაში ვალის

გადახდა ბავშვებით ხდებოდა. ასე იხდიდა გადასახადს თვით კათალიკოსიც კი. აბა, მაშ რა ექნა? საჭმელს ღმერთი ხომ არ გამოუგზავნიდა? ამიტომ იყო, რომ დიდი წვალეზა-გაჭირვებით აგებული ბევრი დარბაზული ტიპის ეკლესია იმერეთის გატყევებულ თუ ხრიოკ გორაკებზე უკურთხებელი იყო, რამეთუ მღვდლები უარს ამბობდნენ ეკლესიების კურთხევაზე, თუ ლოცვის სანაცვლოდ ბავშვებს არ მიუყვანდნენ!

ანდა, როდესაც დახვეწილი მანერების ფრანგი მოგზაური, დიპლომატი და თან ვაჭარიც (თანაც პოლიტიკური აგენტი) - ჟან შარდენი XVII საუკუნეში სამეგრელოს ნაპირს მიადგა, გაცეხული დარჩა „თორმეტიოდე ჩამომონძილი, ნახევრად შიშველი პიროვნებით მშვილდისრებით ხელში, რომელთა დანახვა შიშს იწვევდა.“ ესენი, როგორც მას დაწყნარების შემდეგ აცნობეს, ადგილობრივი საბაჟოს სახელმწიფო მოხელეები იყვნენ.

და მაინც, ამ პერიოდში ყველაზე ძლიერი ერთეული დასავლეთში მაინც ოდიშია. აქ დაჭაობებულ პალიასტომზე შემოდგომის დასუქებულ იხვებზე ნადირობისას 1611 წელს ვითომ შემთხვევით თავში ისრის მოხვედრით იღუპება მანუჩარ დადიანი და მთავრდება მისი არასრულწლოვანი ძე ლევან II-ე. იგი იზრდებოდა პაპის, ქეიფზე და საკუთარ კუჭ-მუცელზე გადაყოლილი ალექსანდრე II-ე კახთ მეფის სამეფო კარზე, დღედაღამ, რომ ნატრულობდა: „ნეტავ ოხერ მყოს კახეთი, რომე მრავალ მჭქონდეს ადგილნი სანადირონიო“. ახლა კი, რადგან იგი ჯერ ისევ პატარა იყო, ზუგდიდის სამთავროში ახლად დანიშნულ მთავარს მეურვედ დაენიშნა ბიძა, გიორგი ლიპარტიანი.

1618 წელს მეფე გიორგი III-ემ თავის შვილს ექვიან ალექსანდრეს ცოლად შერთო მამია გურიელის შავთვალა ასული თამარ, რომელთანაც მას შეეძინა ბაგრათი. 1620 წელსვე ექვიანმა ალექსანდრემ თამარს ცილი დასწამა ქუთაისელ სომეხ ვაჭართან მღალატობო, რომელიც ამისათვის წითელი ატლასის კაბებს გზუქნისო და თავისი ერთი წლის საექვოდ დიდცხვირა და შავტუხა შვილიანად უკან, მამამისს, მამია გურიელს დაუბრუნა, ხოლო რიონის ნაპირას კი მალე დიდცხვირა და შავტუხა სომეხი ვაჭრის გალურჯებულ-გახვეებული გვამი იპოვეს მოზანავე აყიჟინებულმა ბავშვებმა. მეფის ამგვარი მოქმედებით გურიელი მეფეს გადაემტერა. ეს რომ ლევან II-ემ გაიგო, თავისი და - მარიამი მამია გურიელის ძეს სვიმონს 1621 წელს დიდი ზარ-ზეიმი საჩქაროდ მიათხოვა. თვითონ ლევანი დაქორწინებული იყო აფხაზთა

მთავრის სეტემან შარვაშიძის ვაჟკაც ასულ სორეხზე, დღე და ღამეს ცხენების ჯირითში რომ ატარებდა. გურიელ-დადიან-შარვაშიძის ასეთი სენტიმენტალურ-ოჯახური კავშირი არ მოეწონა გიორგი III-ეს და მათ 1623 წელს კოჭარაულთან გაცხარებული ბრძოლაც კი გაუმართა, მაგრამ დამარცხდა. ამით ლევან II-ის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. 1623 წელს გადიდგულებულმა ლევან II-ემ ცხენებზე შეყვარებულ თავის აფხაზ ცოლს თავისივე ვნებით გახელილ ვეზირ პაპუნასთან წაასწრო სასიყვარულო აქტის დროს: ამიტომ მოღალატე ცოლს თავი პირწმინდად გადაპარსა, კეხიანი ცხვირი შიგ ძირში მოაჭრა და ვერხვის ხის ნაცარი მოაყარა სახეზე, სისხლი რომ არ მოწამლოდა და ასე დამახინჯებულ-განაცრიანებული კუდმოჭრილ ჯორზე შემჯდარი სტვენით აფხაზეთსავე გააგდო, მასთან შეძენილი ორი, ჯერ კიდევ სკვინტლიანი, გოგო მოაწამვლინა, ხოლო რომანტიკულად შეყვარებული პაპუნა დაატყვევა და გურიაში თავის სიძესთან პატიმარჰყო; სამაგიეროდ კი ლევანმა თავის ბიძას, გიორგი ლიპარტიანს წაართვა პირმშვენიერ-ჭრელთვალა და თემოსავსე, ამასთანავე არც თუ მკაცრი ზნეობის ცოლი, ჭილაძის ქალი და თვით შეირთო ცოლად.

ამის გამო ოდიშის მოსახლეობა ორ ნაწილად გაიყო და ოდიშში სამოქალაქო ომის ბინძური სუნი ჩამოწვა, მაგრამ მოულოდნელად, სავარაუდოდ ირმის მოწამლული ხორცისაგან, გარდაიცვალა ლიპარტიანი და ომი ბიძა-ძმისშვილს შორის აღარ შედგა.

ლევანის გაძლიერება-გადიდკაცებამ მის წინააღმდეგ გააბოროტა და გააერთიანა გურიელი, შარვაშიძე და გიორგი III-ე. შეთქმულეთა ტრიადას ტექნიკურ ორგანიზებას უწევდა სიყვარულის სამსალით გაუმადლარი ტყვეყოფილი ვეზირი პაპუნა, რომელსაც სურდა ლევანის მოკვლა სიყვარულის სანეტარო ექსტაზში ხელის შემლის შურისძიების მიზნით და მის ადგილზე მისი ძმის, ბრიყული ხასიათის იოსების გამთავრება. შეთქმულთა სამწუხაროდ საჩქაროდ დაგეგმილი, გამოცხადებული მკვლელობა ვერ შედგა; შეტაკებისას პაპუნა ლევანმა დაიჭირა, ზუგდიდში ცემა-ტყეპით ჩამოათრია, გახურებული დანით, სისხლდენა რომ მალე შეწყვეტილიყო, სასქესო ორგანო წააჭრა, შემდეგ კაცობაწართმეული, აყვრიებული პაპუნა იქვე ძუით დაახრჩო, გვამი დაწვა, ფერფლი ზარბაზანში ჩადო და ქუთაისისკენ გაისროლა; თავის ბრიყვ ძმას იოსებს კი თვალები დასთხარა და შმორიან ორმოში ჩააგდო; შემდეგ, გახურებულ გულზე აფხაზების წინააღმდეგ

ილაშქრა, დაამარცხა და რადგან ღარიბი მხარე იყო, ხარკად მხოლოდ გაწვრთნილი მიმინოები წაართვა.

ამასობაში კი, 1625 წელს მძინარე მამია გურიელი თავისმა საყვარელმა ძემ, სვიმონმა გაგუდა და თავისი მოყვრის, ლევანის წინააღმდეგ გაილაშქრა. ლევანმა იგი ლანჩხუთთან დაამარცხა, მასაც თვალები დასთხარა და და-დისშვილები უკან წამოიყვანა, ბრმა სვიმონი კი ბიბლიურ იერუსალიმს წავიდა და ბერად აღიკვეცა, ეტყობა ჩადენილი ცოდვის მოსანანიებლად. თავისუფალ გურიაში ლევანმა მთავრად მამიას ძმა სულელურად სულ მომდიმარი მალაქია დასვა, რომელიც ლევანს ყურმოჭრილი მონასავით ემსახურებოდა.

ამ დროს ურთიერთობა იმაზეა ქართლში ამზიციურ გიორგი სააკაძესა და უფრო ამზიციურ მეფე თეიმურაზ I-ს შორის; გიორგის უნდოდა ქართლ-კახეთის მეფედ გიორგი III-ის შვილი ალექსანდრე დაესვა.

რატომ?

ო! აქ დიდი პოლიტიკური თამაში დაიწყო!

გიორგი III-ემ თავისი ასული ხვარამზე გიორგი სააკაძის შვილს ავთანდილს მისცა ცოლად. თეიმურაზ I-იც გააქტიურდა: მან თავისი შვილის დარეჯანის ქმარი ზურაბ ერისთავი მოაკვლევინა, დაქვრივებული ქალი დამე დაქირავებულ ხევსურ ყაჩაღებს მოატაცებინა, მწვანეში ჩაფლულ მუხრანში მოიყვანა და იმერთა მეფის ძეს ალექსანდრეს საჩქაროდ მიათხოვა.

სამარცხვინო დაპირისპირება სააკაძე-თეიმურაზს შორის ბაზალეთის სამარცხვინო ბრძოლამ გადაწყვიტა - თეიმურაზმა გაიმარჯვა და გახარებულმა დატყვევებულ მოწინააღმდეგე ქართველებს ყველას დაუნდობლად ცხვირი, ყურები დააჭრა და ფეხის მყესები გადაუჭრა და წიხლის კვრით ყველანი უკან, სახლებში გარეკა; სამარცხვინოდ დამარცხებული გიორგი სააკაძე კი საბოლოოდ ოსმალეთში გადაიხვეწა.

1632 წელს ირანმა ქართლის გამგებლად უკვე ასაკობრივ მარაზმში გადასული როსტომ ხანი დანიშნა, რომელიც თეიმურაზს დიდად მტრობდა. თეიმურაზი ქუთაისში გიორგი III-ესთან გაიქცა. რადგან თეიმურაზს იმერეთი უჭერდა მხარს, როსტომმა გადაწყვიტა ლამის ოცდამეორე ცოლად გიორგი III-ის მტრის, ლევან დადიანის ლოყაწითელი და მორცხვი ქვრივი და მარიამი მოეყვანა. ნეფე-პატარძლის შეხვედრა გატყვევებულ ბაღდათში დანიშნეს. ამ ქორწინების პოლიტიკური სარჩული ძალზე კარგად ესმოდათ როგორც გიორგი III-ეს, ისე თეიმურაზს. ამიტომ გიორგი-თეიმურაზი მათ

შეხვედრას ყველანაირად უშლიდნენ ხელს და გეგმაც კი შეიმუშავეს: კაკის ნახევრად დანგრეულ ვიწრო ხიდთან ჩასაფრებოდნენ და ბებერი გადახურებული სასიძო და ახალგაზრდა დედოფალი დაეჭირათ. მაგრამ გულგახურებული გიორგი-თეიმურაზის ეს მზაკვრული გეგმები გიორგი III-ის კარის აზნაურმა ლევან დადიანს შეატყობინა; ლევანიც ჩასაფრებულ მეფეს 1638 წელს კაკის დახავსებულ ხიდთან თავს დაეცა და ცემა-ტყეპით დაატყვევა.

სამაგიეროდ დატყვევებული გიორგი III-ის ნაცვლად იმერლებმა ტახტზე მისი ძე ალექსანდრე აკურთხეს. ერთი წლის შემდეგ, ლევან დადიანმა, დიდი ქრთამი მიიღო დატყვევებული მეფე გიორგის ძის ალექსანდრესაგან: ჭილაძეებისა და მიქელაძეების დოვლათიანი მამულები და ხოლო მეგრულ სოფელ რუხში კი ებრაელები და სომეხი ვაჭრები ჩაუსახლა - ამის შემდეგ დადიანმა სახსრების ანთებით დაავადებული გიორგი III-ე ციხიდან გამოუშვა და ისევ გაამეფა.

1639 წლის ბოლოს ძვლის ანთებით დაავადებული გიორგი III-ე მოკვდა და ალექსანდრე ოფიციალურად გამოცხადდა იმერთ მეფედ. მან იცოდა, რომ გადამტერებული ლევან დადიანი არ მოასვენებდა, ამიტომ ისტამბულს გაიქცა და დახმარება „მამასავით საყვარელ“ სულთანს სთხოვა. სულთანმა „თავის შვილის“ დაცვის მიზნით ისტამბულის მოყაყანე ბაზრის დაცვის უფროსი მაჰმად ფაშა გამოგზავნა ჯარით და მათაც ოდიში სიამოვნებით მოარბიეს. დაბოლმელმა ლევანმა მეფის მორჩილებაზე თანხმობა განაცხადა, ოღონდ მის წინააღმდეგ მწარე ბოლმა მაინც შეინახა - 1645 წელს ერთ ფრანგ მისიონერს ვი ბრინჯაოს ზარბაზანი გააკეთებინა და ქუთაისს დიდი ზარ-ზეიმითა და ხმაურით მიაღდა დასანგრევად. უხარისხო ზარბაზნები პირველივე გასროლისთანავე გასკდნენ და თავისივე მეცეცხლელები დახოცეს. ლევანმა შესაბამისად ქალაქი ვერ აიღო, მაგრამ სანაცვლოდ ახლომდებარე სოფლები გადაწვა, ხალხი დაატყვევა გასაყიდად და დიდძალი ნადავლით ზუგდიდს დაბრუნდა. ასე მეორედობდა მომდევნო წლებშიც: მეგრელები ისე გათავხედდნენ, რომ ქუთაისამდე მოდიოდნენ და ნახირს და ცხენებს იტაცებდნენ. ამ დროს ჩაიგდო ლევანმა ტყვედ ვიღაც ქუთაისელი ებრაელი თერძი, რომლის შეკერილი ტანსაცმელი მას ძალზედ მოეწონა და რომ არ გაქცეოდა, ადგა და ფეხები ცეცხლზე გახურებული ცულით მოაჭრა, რომ ჭრილობას პირი შეეკრა და სისხლდენა მალე შეჩერებულიყო.

1648 წლისათვის კახელი თეიმურაზი საბოლოოდ დამარცხდა როსტომთან ბრძოლაში და ამიერიდან მთელ დროს სკანდის მიყრუებულ და დანესტიანებულ ციხეში ატარებს, სადაც დედამისის ტრაგიკული ბედის შესახებ საკმაოდ გრძელ და გონებისთვის მოსაწყენ პოემას წერს, ხოლო დღეგამოშვებით კი წერილს წერილზე დაჟინებით აგზავნის დათოვლილ რუსეთს დახმარების თხოვნით. შედეგი კი იყო ის, რომ 1651 წლის მშვიერ გაზაფხულს ქუთაისში მუხლებამდე გრძელწვერა რუსი ელჩები – ალექსეი იევლევი და ნიკიფორე ტოლჩანოვი ჩამოდიან. ამით ძლიერ გაიხარა მეფე ალექსანდრე III-მ, თავი „ღვთის სადარ თეთრ“ რუსთ მეფის ყმად გამოაცხადა, ჩამოსულ ელჩებს ველური ბალახის მხალი მოუმზადა, რადგან მარხვა იყო და თანაც სასწრაფოდ ახალი სახელმწიფო ბეჭედიც მოაჭრევინა, თან უკვე მერამდენედ, ახალი სამეფო წარწერაც გააკეთებინა: „მე, იმერთ მეფე ალექსანდრე, ჩემი შვილით ბაგრატით და ჩემი ძმით მამუკათი სამუდამო ყმა ვარ ხელმწიფისა და მეფის დიდი მთავრის ალექსეი მიხეილის ძის, სრულიად რუსეთისა,,

...რაიმე შედეგი ამ ელჩობას არ მოჰყოლია, რადგან რუსის ელჩები ძალზედ შეშინებულან ქვეყანაში არსებული რთული საშინაო ვითარებით და განსაკუთრებით კი იმ ფაქტით, რომ ხალხი, რომელიც მოსალოცად ჭყონდიდისაკენ მიმავალ გატყევებულ შარაგზაზე შეხვედრიათ და ელჩებს თავზეხელაღებული ყაჩაღები ჰგონებიათ, თურმე სოფელ თავასაში მიმავალი მღვდლები ყოფილან.

1651 წელს დადიანმა უკანასკნელად გადაბუგა ქუთაისის ტალახიანი შემოგარენი, ტყვედ ჩაიგდო მეფე ალექსანდრეს ძმა მამუკა, ისრის გახურებული რკინის პირით თვალები დასთხარა და გრძელი ჯაჭვით თავისთან ეზოში დააბა. მაგრამ, იმის გამო, რომ თვალებდათხრილს ჭრილობაში ინფექცია შეეჭრა და სასიკვდილოდ დაავადდა, ბევრი რომ არ ეწვალა, საჩქაროდ ცხენის ძუით დაახრჩო.

აღსანიშნავია, რომ ლევანს უჩუმრად ეხმარებოდა ქართლის გამუსლიმანებული სპარსულ წითელ-ყვითელ ფლოსტებ-ხალათში გამოკვართული ვალი როსტომი, რადგან მის მოქიშპე კახელ თეიმურაზ I-ს იმერლები ედგნენ მხარში.

ამასობაში კი, 1657 წელს ზვიად ლევან დადიანს ნადირობისას საყვარელი ვაჟი მოუკვდა. ტირილის დროს გამწარებულმა მამამ თავში ლახტი დაირტყა და შვილს ზედ დააკვდა. სწორედ ამ ლევანის შესახებ წერდა ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი: ეს მთავარი ისეთივე ავი სულია, დიდი ავაზაკი და ნამდვილი მძარცველი, როგორც მისივე

ხალხი.

სავარაუდოდ ამავე ლევანის შესახებ წერდა ფრანგი მოგზაური ტავერნიე ანეგდოტურ ამბავს: ალაჰის სადარ ისტამბულში ოდიშის მთავარი ჩამოვიდაო 200 კაციანი ამალით და რომლებსაც თანდათან ყიდდა თავისი ხარჯების გასასტუმრებლად, ვიდრე მხოლოდ პირადი მდივანი და ორი მსახური არ შემორჩაო ხელში.

რადგან ლევანს სხვა შვილი არ დარჩა, მეგრელებმა გაამთავრეს ლევანის ძმის შვილი ელამი ლიპარიტ იოსების ძე, რომელიც მას ქართლელი მეძავისაგან ჰყავდა. ამის წინააღმდეგ გამოვიდა ვამიყ ლიპარტიანი, რომელიც იყო ლევან დადიანის მეორე ცოლის, დარეჯან ჭილამის პირველი ქმრის, გიორგი ლიპარტიანის შვილი. ამ გენეალოგიური არეულობით ისარგებლა იმერთ მეფე ალექსანდრე III-მ, ოდიშში გადავიდა, ზუგდიდი მოარბია და მთავრად დასვა გიორგი დადიანის ძე ვამიყ. მეგრელები ვერ შეეგუვნენ ვამიყის გამთავრებას და აჯანყდნენ, მაგრამ 1658 წელს სოფელ ბანძასთან ალექსანდრე III-მ და ვამიყმა ისინი სასტიკად დაამარცხა. შესაბამისად ალექსანდრე III-ის ავტორიტეტი ძალზე გაიზარდა.

ამით შეშინებული ქაიხოსრო გურიელი სტამბოლში გაიქცა. გაქცეულის ადგილზე ალექსანდრე III-მ დასვა მისი ძმა დემეტრე. ქაიხოსრომ დახმარება „მამა-მარჩენალ“ სულთანს სთხოვა და მანაც იმერეთში ახალციხელი როსტომ ფაშა გამოგზავნა. როსტომ ფაშამ ქაიხოსრო ისევ გაამთავრა, ხოლო დემეტრე კი ქუთაისს გამოაგდეს. ამით გაავებულმა ალექსანდრე III-მ და დემეტრემ მკვლეელი დაიქრავეს და - მალე ქაიხოსრო ნადირობისას ტყეში მკვდარი იპოვეს. შედეგად დემეტრე ისევ გამთავრდა, ხოლო ქაიხოსროს ძენი, გიორგი და მალაქია, რომლებიც აშკარად მიხვდნენ მამის სიკვდილის ნამდვილ მიზეზს, ახალციხეში გადაიმაღლნენ. მეფე ალექსანდრე III-მ მათი ხელში ჩაგდების მიზნით ოზლებს ქუთაისელი მღვდლები მიუგზავნა და თან მხურვალედ შეუთვალა: მე არავითარი დანაშაული არ მაქვს და თუ გინდათ დაგიმტკიცებთ გამოცდითო.

დანაშაულის დამტკიცება კი მაშინდელი ქართული იურიდიული ნორმების მიხედვით შემდეგნაირი ფორმატით ხორციელდებოდა: ბრალდებულს ხელზე ქაღალდს ახვევდნენ, შემდეგ გახურებულ რკინას აჭერინებდნენ და ასე სამი ნაბიჯი ხტუნვით უნდა გადაედგა, ვიდრე რკინას გადააგდებდა. თუ ამის შემდეგ მას დამწვრობის ნიშანი აღმოაჩნდებოდა, დამნაშავედ ითვლებოდა;

ანდა:

მდულარე წყალში მონეტას აგდებდნენ; ბრალდებულს კი ეს მონეტა ხელით უნდა ამოეღო. თუ სამი დღის შემდეგ დამწვრობა შეეტყობოდა, დამნაშავედ ითვლებოდა.

ცოტა მტკივნეული კი იქნებოდა, მაგრამ პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დაჭერისათვის კაცი რას არ გააკეთებდა! არა?

მიუხედავად დიდი მცდელობისა მეფე ალექსანდრე III-ს არაფერი გამოუვიდა.

ალექსანდრე III-ს თავისი მე სიტყვამუნწი ბაგრატი სასტიკად არ უყვარდა. ამიტომ მან იშვილა ცოლის ძმისშვილი ლუარსაბი, მაგრამ იგი მოულოდნელად დიზენტერიით გარდაიცვალა. შემდეგ რუსეთის მეფე ალექსეი მიხაილოვიჩს სთხოვა მოსკოვში მყოფი თეიმურაზის მოუქნელი, მაგრამ მოსკოველ ლამაზმანებში დიდი პოპულარობით მოსარგებლე შვილიშვილი, მოსკოვშივე გალოთებული ერეკლე მემკვიდრედ, მაგრამ მტკიცე უარი მიიღო. ამიტომ საბოლოოდ იგი იძულებული გახდა ტახტის მემკვიდრედ ისევ თავისი შვილი ბაგრატი ეცნო. ალექსანდრე III-ე 1660 წელს გარდაიცვალა.

იმერეთი XVII საუკუნის II ნახევარში

ალექსანდრე III-ს მეორე ცოლთან ნესტან-დარეჯანთან (კახთ მეფის თეიმურაზ I-ის ასული) შვილი არ ჰყავდა. ამიტომ 1660 წელს მეფდება მისი პირველი ცოლის შვილი ბაგრატ IV-ე, რომელიც პერიოდულად აგრესიული ფსიქიური აშლილობის შემოტევისაგან იტანჯებოდა და ამის გამო იგი მამამისს გურიაში ჰყავდა გაგდებული სიმამრთან. ნესტან-დარეჯანმა თავის ფსიქ გერს ცოლად შერთო თავისივე მკერდ და თემოსავსე ძმისწული – დავითის ასული ქეთევან, მაგრამ პირველ კაცად იმერეთში მაინც კაცევით უღვაშამოსული დარეჯანი რჩებოდა.

ერთხელაც დედინაცვალმა დარეჯანმა, ეტყობა შემთხვევით, გერ ბაგრატ IV-ეს ხის დიდი ვარცლში ბანაობისას შიშველს შეასწრო, მოეწონა, კაცობაზე თვალი დაადგა, აღგზნებულმა ნაბანავებ კაცს ცოლობა შესთავაზა და თან მკვნესარე ხმით პირობა მისცა, რომ ცოლს, თევზივით უემოციო, მუდამ დაღონებულ და უხალისო ქეთევანს კახეთში გაუგდებდა, მაგრამ ბაგრატი მტკიცე უარზე დადგა. უარით გაბრაზებულმა და ქალურ ღირსება შეურაცხყოფილმა სახებალნიანმა დარეჯანმა აქეთ გერს დააბრალა - ბანაობის დროს მიყურებდაო და თანაც, მგონი ჩემს გაუპატიურებასაც ფიქრობდაო

და ამიტომ მეფეს თვალეზიკ დასთხარა, მეფობიდანაც გადააყენა და იმერეთის ახალ მეფედ თავისი საჩქაროდ სადღაც გამონახული ახალი საყვარელი, ვახტანგ ჭუჭუნიაშვილი დანიშნა, რომლის ერთადერთ ადამიანურ ღირსებას საკმაოდ დიდი ზომის მამაკაცური ორგანო წარმოადგენდა და რომელიც მალე ქმრადაც აღიარა. ამან იმერეთი აღაშფოთა: ნაწილი დადიანის გამეფებას უჭერდა მხარს, ნაწილი კი ქართლის გამუსლიმებურ მეფის ვახტანგ V-ის გამეფებას, რომელმაც საჯაროდ და ნაადრევად გამოუცხადა გაკვირვებულ იმერლებს: გამეფების შემდეგ ძალიან გთხოვთ შაჰ ნავაზი დამიძახეთო!

ქუთაისში კი ყველას მაინც ვამიყ დადიანმა შეასწრო, დაიჭირა დარეჯანი და მისი ბედოვლათი ქმარი, რომელსაც იქვე თვალეზიკ დასთხარა და მისი მამაკაცური ღირსებაც ზედ მიაყოლა, და ყოფილი მეფე-დედოფალი, ორივე ერთად გელათის ეკლესიის ეზოში, დიდ, ბნელ ხაროში ჩააგდო. შესაბამისად 1660 წლის ცხელ აგვისტოს იმერთ მეფედ თავის თავი გამოაცხადა და ყოველ შემთხვევისათვის იმერეთის სამეფო სიმდიდრე 12 ოთხბორბლიანი თხილის ხისგან გაკეთებული მოჭრიალე ურმით ქუთაისიდან ოდიშში გაგზავნა. ამასობაში ქუთაისს სპარსულ წითელ ხალათში გამოწყობილი ქართლის მეფე ვახტანგ V-ე მოადგა თავისი ყიზილბაში ძმაკაცებით. ვამიყ დადიანმა მას ქართლთან მომიჯნავე მიწები დაუთმო, თავისი გრძელცხვირა ასული ვახტანგის ძეს ინჟანტილურ არჩილს შეჰპირდა ცოლად და მშვიდობიანად დაშორდნენ ერთმანეთს.

ვახტანგისა და ვამიყის სავარაუდო დამოყვრება დიდხანს არ გაგრძელებულა: დადიანმა თავისი შეპირებული ასული იმერელ თავად ბეჟან ღოღობერიძეს მისცა. ამით გაბრაზებულმა ვახტანგ V-ემ მიიმხრო ზემო იმერეთის დიდებულები, დემეტრე გურიელი და 1661 წელს იმერეთში ჯარით შეიჭრა. ვამიყ დადიანმა ბრძოლა ვერ გაბედა და ოდიშში გაიქცა. ვახტანგი იქაც მიჰყვა. აქედან ვამიყი სვანეთში გარბის. ოდიშში ვახტანგმა მთავრად ლევან II-ე დადიანის ძმისშვილი შამადავლე იოსების ძე დანიშნა, რომელმაც სახელი გამოიცვალა და ახალ სახელად ლევან III-ე დაირქვა. მასვე ვახტანგმა საჩქაროდ ცოლად შერთო თავისი ძმისშვილი ვნების ქარაშოტის აღმძვრელი თამარ - მკითხველო დაიმახსოვრე, ეს ამ ვნებისაღმძვრელი ქალბატონის პირველი გათხოვება იყო.

იმავე წელს ვახტანგის მითითებით ხოსია ლასხიშვილმა ვამიყ დადიანი მოკლა, იმერთა მეფედ კი ვახტანგმა თავისი 14 წლის ძე, უკვე გამუსლიმებული არჩილი გამოაცხადა, რომელსაც მრჩეველად

მკვლელი ხოსია ლასხიშვილი მიუჩინა. ეს ნიშნავდა, რომ იმერეთში სპარსეთის გავლენა ძლიერდებოდა. ამან შეაშფოთა ოსმალეთი და სპარსეთს მკაცრი ტონით მიმართა, რომლის შედეგად ვახტანგი იძულებული გახდა მორჩილ არჩილს იმერეთი სასწრაფოდ დაატოვებინოს და 1664 წელს საკომპენსაციოდ კახეთის მეფედ გამოაცხადოს და თან გულის უფრო დაწყნარების მიზნით ცოლად თეიმურაზ I-ის შვილიშვილი მოკლეფეხა და მსუქანი ქეთევანი შერთო (იმერთ მეფის ცოლყოფილი). ოღონდ იმის გამო, რომ ქეთევანი, მისი ვნებით მოხიბლულ ახალციხის ფაშას ჰყავდა ჰარემში, ფაშას 20 000 მარჩილი გადაუხადა გამოსასყიდად.

იმერეთის მეფედ ოსმალებმა დემეტრე გურიელი დასვეს; პარალელურად, ყარსის ფაშამ ლევან III-ე გააგდო ოდიშიდან, როგორც ვახტანგ V-ის ფავორიტი და ოდიშიც სამმართველად დემეტრეს მისცა.

დემეტრეს დიდხანს არ უმეფია. როგორც კი 1663 წელს ოსმალთა ჯარი იმერეთიდან დოღების ბრავუნით გავიდა, იმერლებმა დემეტრე გააგდეს და ტახტზე ვახტანგ V-ეს ისევ უსინათლო ბაგრატ IV-ე დააბრუნებინეს, რომელიც ქართლში ტყვედ ჰყავდა. ვახტანგმა დეკრესიაში ჩავარდნილ ბრმა ბაგრატს ცოლად თავისი მძისშვილი ენაგრძელი ჭორიკანა ჭრელთვალეზა თათია გამოაყოლა, რომელიც იყო ვნებიანი თამარის და - ესე იგი ლევანი და ბაგრატი იძულებით ქვისლები გახდნენ; შესაბამისად, გურიელის ადგილზე გიორგი ქაიხოსროს ძე, ხოლო ოდიშში ისევ ლევან III-ე დაინიშნა. მაგრამ სიწყნარე და სიმშვიდე ამას არ მოჰყოლია, რამეთუ ბრმა ბაგრატმა შემთხვევით გაგულისებული ცოლის ჭორით გაიგო თავისი სიდედრის - თედოსავსე თამარის ვნებით დაუღლელი სულის ამბავი და... იგი მოუწდა. ლევანმა მხურვალე და ვნებით სავსე ცოლის დათმობა არ ინება, ბრმა ბაგრატს საჩქაროდ ომი აუტეხა, მაგრამ სამარცხვინოდ დამარცხდა და ბაგრატს ტყვედაც ჩაუვარდა. იმერეთის თავადებმა, ეს ანარქია რომ შეეწყვიტათ, ასე ჰქმნეს: ლევან დადიანი დააშორეს თავის ვნებიან ცოლს - თამარს და იგი აცუნდრუკებულ ბაგრატს შერთეს, ხოლო ლევანი ბაგრატის ელამ დაზე, თინათინზე დააქორწინეს, რომელიც ამისათვის გალოთებულ აზნაურ გოშაძეს წაართვეს, ხოლო ბაგრატის ჭორიკანა ცოლი - ვნებიანი თამარის და თათია, ვინმე აზნაურ შანაოზზე გაათხოვეს, რომლის ერთადერთ ბიოლოგიურ ღირსებას საკმაოდ გრძელი ულვაშები წარმოადგენდა. ამის შემდეგ ვნება დამცხრალმა ბაგრატ IV-ემ დაბოღმით ლევანი ისევ

ოდისის მმართველად აღიარა.

მაგრამ ბაგრატ IV-ეს მტერი მაინც რჩებოდა ხეპრე გიორგი გურიელის სახით, რომელიც საიდუმლოდ ვნებიან თამარს გაგიჟებით ეტრფოდა, ქუთაისში სტუმრობისას, რომ გაიცნო. გიორგი გურიელის გამიჯნურება მალე გამჟღავნდა და ეს ახალი სასიყვარულო პრობლემა, რომ მოეგვარებინა, გადაღლილმა ბაგრატმა მას დაუყოვნებლივ ცოლად შერთო თავისი ტირილით თვალებდასიებული, არასრულწლოვანი, ნაადრევად დაქალბული გოგო დარეჯანი, ნაშობი იმავე თამარისაგან. ატირებული ბავშვი, რომ დაეწყნარებინათ, ნახჭევანელი სომეხი ვაჭრისაგან რამდენიმე ბავშვის საფასურად გრძელი, წითელყვითელი შამახიის ატლასის კაბა და რამდენიმე ჭრელი შუშის მძივი უყიდეს, შინაურ ჯორზე შესვეს და არცთუ გახარებულ სიძეს გააყოლეს. მაგრამ ამან საქმეს საბოლოოდ მაინც ვერ უშველა – უსინათლო ბაგრატს ახლა სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე გადაუდგა: მან 1666 წელს ოსმალთა ჯარები ქუთაისში შემოიყვანა და მათგან გაგულისებულმა მეფეს ქუთაისის გარშემო არსებული ტყის საკუთრებაში გადმოცემა მოსთხოვა. ერთი წლის თავზე მოურავმა ბეჟან ლორთქიფანიძემ ოსმალები უკანვე კინწისკვრით გააძევა. ეს ახალი ამბავი ბაგრატ IV-ის მტრებმა კარგად გამოიყენეს და ერთმანეთის მიყოლებით დაულალავად დაიწყეს ახალციხის ფაშასთან „ოსმალთა ხონთქრის, დაე ღმერთმა დიდხანს აცოცხლოს იგი“ მტრის - ბაგრატის დასმენა. ჭორებით გახურებულ ახალციხიდან თურქთა რეაქციამ არ დააყოვნა: იმერეთში ხმაურითა და ზურნების წივილით მერამდენედ შემოდის ეს აჭრელებული ოსმანთა ჯარი, რომელსაც თავმომწონე გამუსულმანებული ქართველი ასლან ფაშა მეთაურობს. მან ორმოდან გაათავისუფლა დიდი ხნის ჩაყრილი დიდი ხნის დაუბანავი დარეჯანი და მისი დაკოდილ-დაბრმავებული ქმარი ვახტანგ ჭუჭუნიაშვილი და როგორც იტყვიან, ოთხივ მხრივ გზა დაულოცა წასასვლელად. მაგრამ ოსმალთა ქოშების მტვრით გავსებულმა იმერელმა დიდებულებმა ქუთაისში უზარმაზარ ტახტზე წამოგორებულ ასლან ფაშას 20 000 მარჩილი ქრთამად მისცეს და ლეჩხუმში გაქცეული ბაგრატ IV-ის ნაცვლად იმერეთში არაფრის მაქნისი დარეჯან-ვახტანგი გაამეფეს. ესეც ესე! მაგრამ სამეფო ტახტს, ხომ წესით მემკვიდრე ესაჭიროებოდა? მეფე ვახტანგს, სამწუხაროდ, გასაგები მიზეზებისდა გამო, აღარაფერი შეეძლო, ამიტომ 1668 წელს იმერელმა დიდებულებმა სამეფო მემკვიდრის გაჩენის მიზნით უშვილო დარეჯანს სექსუალურად ჯანმრთელი ხოსია ლასხიშვილი

მიუჩინეს. ყველაფრისაგან დაღლილმა დარეჯანმა, ეტყობა, ძალზე შეიყვარა ენერგიული და ვნებიანი კაცი, მას მეტად მიენდო, ღმერთმა იცის, რა ბროლის კოშკები ააგო ოცნებებში დარეჯანმა, მაგრამ ხოსიას ეტყობა მოსწყინდა დაბერებული დარეჯანის სექს-მომსახურება და ერთხელაც ღამით მძინარე დარეჯან-ვახტანგი დანით დახოცა. სამეფო ტახტი ისევ ვაკანტური გახდა. შეთქმულმა აზნაურებმა ამის შემდეგ აღარც უსინათლო ბაგრატ IV-ე ისურვეს და გაამეფეს ნერვიული დემეტრე გურიელი, რომელსაც ნახევარ წელში თვალები დასთხარეს და ქუთაისიდან ცემა-ტყეპით გაამძევეს. ამის შემდეგ იმერეთის არეულ-დარეულ საქმეში ისევ ახალციხის ფაშა ჩაერთა: გურიელად დასვა გიორგი ქაიხოსროს ძე, ხოლო ქუთაისში, ბრმა ბაგრატ IV-ე გამოაცხადა მეფედ.

მაგრამ უკვე მერამდენედ გამეფებულ ბაგრატ IV-ეს აღარ დაემორჩილნენ სეხნია ჩხეიძე, ლევან III-ე დადიანი და გიორგი გურიელი. სეხნია ჩხეიძემ დიდი ხვეწნა-მუდართით 1669 წელს კიდევ ერთხელ შემოიყვანა ქუთაისში ოსმალთა ჭრელი ჯარი, სადაც ისინი 100 წელი დარჩნენ. ამ მიზეზით, ბუნებრივად ბრმა ბაგრატ IV-ესა და მის სულიერად ბრმა მოწინააღმდეგებს შორის დაუნდობელი ბრძოლა 1669 წელს ჩხარს მოხდა. ბრძოლაში ბაგრატმა გაიმარჯვა, ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე სეხნია ჩხეიძე კი მოკლულ იქნა; დატყვევებულებიდან რომელიც გასაყიდად არ გამოდგებოდა (ბრძოლისას დაზიანდნენ) მაშინდელი წესის თანახმა ბრძოლის ველზედვე გაჩაღებულ დიდ კოცონში დააწვევინა, სამიოდე, ყველაზე აქტიური კი დიდ ხის კირიან კასრში ცოცხლად ჩაამარხვინა. 1671 წელს გეგუთთან ბაგრატ IV-მ კვლავ დაამარცხა ლევან III-ე, დაატყვევა, თავისიანებს მაგრად აცემინა, მაგრამ სხვა არაფერი ავნო, რადგან მისი დის ქმარი იყო.

სამაგიეროდ ბაგრატის ამგვარი გამარჯვებით გაცოფდა გიორგი გურიელი, რომელიც მეფის ცოლს ანუ თავის სიდედრს თამარს დაუღალავად ეტრფოდა. მან ქრთამი მისცა ახალციხის ფაშას, რომ თავისი სიდედრი ხელში ჩაეგდო და 1672 წელს აყვრებული თურქული ჯარით იმერეთში შემოიჭრა. ბაგრატ IV-ე დამარცხდა და დატყვევებული იქნა, ოღონდ მანამდე კი თავისი ვნებით გახელილი ცოლი თამარი მიუვალ კვარას ციხეში გადამალა და სიყვარულით გულანთებულმა გურიელმა თავისდა სამწუხაროდ იგი ვერ იპოვა. ამიტომაც სექსუალურად დაუკმაყოფილებელმა იმერეთის დამშეული

სოფლებში, თავისი თურქი ამფსონებისათვის, შემორჩენილი პატარა გოგო-ბიჭები დაიჭირა და ცხვირჩამოშვებული უკან, გურიას გატრიალდა ამასობაში დატყვევებულმა ბაგრატმა დიდი ქრთამი შეადგია ახალციხის ფაშას და იგი ისევ მეფედ დაამტკიცეს, ოღონდ ახალციხეში თავისი უკანონო ძე ალექსანდრე დატოვა მძევლად. იმერეთიდან თურქები და გურიელი ოდიშში შეიჭრნენ და ააოხრეს. 1672 წელსვე ნაწყენმა ბაგრატ IV-ემ შურისძიების მიზნით ილაშქრა სიძის გურიაში და სიამოვნებით მოარბია.

ორი წლის შემდეგ ქუთაისის ციხეც გაანთავისუფლა ოსმალთა გარნიზონისაგან, მაგრამ ოსმალებმა ციხის დაბრუნების სანაცვლოდ მძევალი ძე ალექსანდრე შესთავაზეს და ბაგრატიც ამ გაცვლას დათანხმდა.

ამავე დროს ბაგრატმა ელჩობაც მიავლინა გაყინულ რუსეთს (1667–1668 წლები), მაგრამ რუსული არაყით გალოთებული ერეკლე ბატონიშვილის ინტრიგების წყალობით იგი უშედეგოდ დასრულდა. საქმე კი იმაში იყო, რომ რუსეთის დახმარებით იმერეთში გაბატონება და შემდეგ მისი ქართლ–კახეთისათვის მიერთება უნდოდა ერეკლეს და ამიტომ იმერეთ–რუსეთის დაახლოებას ყოველნაირად ხელს უშლიდა. მან საბაზად ის გამოიყენა, რომ იმერთა ერთ–ერთი ელჩი, ბიბლიური წინასწარმეტყველივით მუხლებამდე წვერმოშვებული მიტროპოლიტი ევდემონი დარეჯანის, თავისი დის მკვლელობაში დაადანაშაულა და ეს პატივცემული ელჩები ჯერ მოსკოველ ქურდებს მაგრად აცემინა, შემდეგ კი ბელოგორის მონასტრის გაყინულ ციხეებში ჩაყარა.

1678 წელს ახალციხის ფაშასა და ლევან III დადიანის წყალობით, ახლა უკვე კახეთიდან გამოგდებულმა არჩილმა ბრმა ბაგრატი გააგდო და იმერეთის ტახტი კვლავ დაიკავა. ბაგრატ IV-ემ დახმარებისათვის სიძეს, გიორგი გურიელს მიმართა, ხოლო ყოველ შემთხვევისათვის, ვნებიანი ცოლი თამარ, ისევ სკანდის ციხეში დამალა. გამეფებულმა არჩილმა თამარი სკანდის ციხიდან გაათავისუფლა და თავის პირველ ქმარს ლევან III დადიანს მიჰგვარა. ბაგრატ IV-მ და გიორგი გურიელმა დახმარებისათვის ისევ ისტამბულს მიმართეს და სულთანმაც არზრუმის ფაშას დაავალა მათი დახმარება. 1679 წელს ასლან ფაშას დახმარებით ბაგრატი კვლავ გამეფდა, არჩილი კი რაჭაში გაიქცა.

მაგრამ რად გინდა ესეთი მეფობა, რა, თამარი, ხომ გვერდზე არ ჰყავდა!

1681 წელს მოწყენილ და თამარზე მოფიქრალ ბრმა ბაგრატ IV-ს ჟამისას ლუკმა ყელზე დაადგა და დაქანცული სული მიქელ-გაბრიელს მიაბარა. მას დარჩა უკანონო შვილი ალექსანდრე, რომელიც ამ დროს ქართლში გიორგი XI-ე იყო ტყვედ. ამიტომ იმერეთის ვაკანტური ტახტი გარდაცვლილი მეფის სიმემ გიორგი გურიელმა დაიკავა, რომელმაც მეფობის პირველივე დღეს ცოლი დარეჯანი – ბაგრატისა და თამარის შვილი გააგდო და ლევან III დადიანს ცოლი თამარი, ანუ თავისი სიდედრი წაართვა და ცოლადაც დაისვა.

1683 წელს იმერელმა თავადებმა ოსმალთა სულთანს სთხოვეს იმერეთში გაემეფებინა ალექსანდრე ბაგრატის ძე. თურქეთის მოთხოვნით ალექსანდრე ქართლიდან პატივით გადმოიყვანეს და ალექსანდრე IV-ის ტიტულით გაამეფეს, გურიელი გურიაში ეულად გააგდეს, ხოლო სამეფო საძინებელში მარტოდ დარჩენილი გურიელის ცოლი თუ სიდედრი თამარ, რომელმაც ველარ შესძლო ახალგაზრდა ალექსანდრეს მოხიზლვა, (ეეხ! დრო დაუნდობელი კოსმეტოლოგია, ხომ იცით?) მეფეზე ნაწყენი ოდიშში წავიდა მეგრელების ასაჯანყებლად ალექსანდრეს წინააღმდეგ, მაგრამ გზაზე მიმავალს მისი ვნებიანი მიხვრა-მოხვრით მოხიზლულმა ერთ-ერთმა მისმა მხლებელმა ზუგდიდის ქალაში გაუპატიურება მოუწოდოდა და ძალაობისას მოულოდნელად ქალი ინსულტით გარდაიცვალა. ამიტომ წერდა ამ ისტორიის მომსმენი ფრანგი მისიონერი და მოგზაური ჟან ფრანსუა გამბა: იმერლები იმდენად წახდენილნი არიან, რომ ისინი არავითარ სისაძაგლეს და უზნეობას არ ერიდებიანო.

ალექსანდრე IV-ე იყო „ხელად მქცველი, ცუნდრუკი, უღმრთო, ტყვეთა მსყიდველი“; ისე კი, უნდა ითქვას, რომ მას ამგვარ საქციელ-დახასიათებაში არც თავისი ქვეშევრდომი ხალხი ჩამორჩებოდა, რომლის შესახებ მაშინდელი ჟამთააღმწერელი გულისტკივილით წერდა: „გარყვნილნი, ფიცის მტეხელნი, მკრეხელნი, უკეთურნი, არათუ წარჩინებულნი, გარნა მდაბიურნიცა მოქმედნი ამის ყოველთა.“ ალექსანდრე IV-მ დაიახლოვა მოღალატე სეხნია ჩხეიძის შვილი „ენით ზურგის დამფხანავი“ ენაწყლიანი მღვდელი სვიმონ ქუთათელი, აგრეთვე „სოდომიტი და ტყვეთა მსყიდველი“, რომელიც ყველგან თან ერთ პატარა ენამოჭრილ და ლამაზ ბიჭს დაატარებდა – „მის აღზრდაზე ვზრუნავო“; ამ ვითარებაში კუდაბზიკა აზნაურთა მხარდაჭერა რომ მოეპოვებინა ალექსანდრემ იმერეთის ერთ–ერთ ძლიერ თავადს პაატა აბაშიძეს შერთო თავისი ელამი და დარეჯან, რომელიც მანამდე ქმარს, გიორგი გურიელს წაართვა. მეფის ამგვარი

გააქტიურებით შემფოთებულმა გიორგი გურიელმაც შეყარა კოალიცია მეფის წინააღმდეგ, 1684 წელს რიკოთში ბრძოლაც გაუმართა მათ, მაგრამ დამარცხდა და ბრძოლაშივე მოკვდა. ალექსანდრე IV-ე მოკავშირეთა ძებნას განაგრძობდა. ამ მიზნით მან ქართლის მეფეს გიორგი XI-ს მისი ძმისშვილის ელენეს ხელი სთხოვა, მაგრამ გიორგი XI-ე რაჭის ერისთავთან პაპუნასთან მეგობრობდა, ხოლო პაპუნას იმერეთ-ქართლის ასეთი დამოყვრება არ აწყობდა და ამიტომაც ქორწილიც ჩაიშალა.

ამასობაში შაჰ აბას II-მ (თავისი დიდი პაპის აბას II-ის უფერული მემკვიდრე) გიორგი XI-ე ქართლის მეფობიდან გადააყენა და მის ადგილას რუსეთიდან ჩამოსული გალოთებული ერეკლე I-ი დანიშნა, რომელიც, მუდამ მთვრალი, განურჩევლად ყველას თავის მუსლიმურად მონათლულ უზომო სასექსო ასოს აჩვენებდა. დაბნეულმა გიორგიმ თავი მეგობარ პაპუნა რაჭის ერისთავთან შეაფარა. ამ საბაზით ისარგებლა ალექსანდრე IV-მ და რაჭა აიკლო. გაავებულმა პაპუნამ და გიორგი მეფედყოფილმა 1688 წელს რუსეთიდან გიორგი მეფედყოფილის ძმა არჩილი ჩამოიყვანეს, რომელიც კარგა ხანია მუსლიმურად გადანათლული იყო, შესაბამისად ნაზარ-ხანის სახელიც დაერქვა. აი ეს „წმინდა სამება“ დაულალავად აღმა-დაღმა დადიოდა და ყირიმის სახანოს ხანს და აფხაზთა მთავარს აცრემლებულები თხოვდნენ, რომ ალექსანდრე IV-ის გაგდებაში და მაჰმადის რჯულზე, „იდიდოს მისმა სახელმა,“ შეყვარებული არჩილის გამეფებაში დახმარებოდნენ. მათ ამ საქმეში გვერდზე ედგა ოდიშის მთავარი გიორგი ლიპარტიანი, მაგრამ ალექსანდრე IV-მ გიორგი ლიპარტიანს მომხრობის მიზნით მას ლეჩხუმი აჩუქა და ისიც პაპუნა-გიორგი მეფედყოფილის უფერულ კოალიციას ჩამოშორდა. სამეფო გადატრიალება ვერ შედგა და ყველაფრისაგან უკვე გადაღლილი არჩილი იძულებული გახდა, ჯერ ჩხერის ბნელ ციხეში გადამალულიყო, შემდეგ კი ჩრდილო ოსეთში, დიგორაში წასულიყო.

გიორგი ჯერ გურიაში იმალება, მერე ნესტიან გონიოში და ყოველნაირად ცდილობს ძმის, ინფანტილური არჩილის იმერეთში გამეფებას. ბოლოს ოსმალებს პირობა მისცა, რომ ძმის გამეფების შემთხვევაში ისტამბულის მარად დამშეულ ჩინოვნიკებს დიდ თანხას გადაუხდიდა და თან ლამაზ მეგრულ გოგოებსა და ბიჭებს მიაყოლებდა. ამით გულმოქონილმა ოსმალთა დესპანმა გიორგის ყურებადვე გახეული ტკბილი ღიმილით უთხრა: ჩემი საყვარელი

იმერლები ვისაც მოინდომებენ, მხოლოდ იმას დავნიშნავთო მეფედ. გიორგიმ ახალციხელ ფრანცისკანელ მისიონერებს დიდი ხვეწნითა და ძველი ბერძნულ-ქართული ხელნაწერი წიგნების ჩუქებით ყალბი სახელმწიფო ბეჭედი დაამზადებინა და გაყალბებული ხელმოწერებით ეს გრძელი არზა ისტამბულს აფრინა. ისტამბულმაც, ხელები მას შეაწმინდა, სერიოზული სახით მეფედ არჩილი დაამტკიცა და ამ მოუშორებელი ალექსანდრე IV-ის გასაგდებად იმერეთში ტრაპიზონის გარნიზონის დახამებული ჯარი შემოგზავნა, რომელიც ფერსათის ატალახებულ ველზე განლაგდა. ამ ამბის გაგონებისთანავე 1690 წლის წვიმიან სექტემბერს მიყრუებულ დიგორადან არჩილი რაჭველების ჯარით ქუთაისისაკენ დაიძრა. ალექსანდრე IV-მ ბრძოლა ვერ გაბედა და ქართლში მთვრალ ერეკლე I-თან გამოიქცა - ქუთაისში არჩილი გამეფდა.

იმერეთის ოპოზიციამ რამდენჯერმე სცადა არჩილის გაგდება, მაგრამ ვერ შეძლეს.

თბილისში მყოფმა მეფობა დამხოვილმა ალექსანდრე IV-მ აცრემლებულმა სთხოვა გამომთვრალ ერეკლე I-ს ეშუამდგომლა დიდებული ირანის შაჰის წინაშე, რომ იმერეთის მეფის საპატიო ტიტული დაებრუნებინა, თან ფეშქაშად რამდენიმე ლამაზი გოგო-ბიჭიც გადასცა. ნასიამოვნებმა ირანმა მისი ეს სურვილი მეგობრულად ოსმალეთს გადასცა და ისიც დათანხმდა, რადგან ამ სურვილს ურმიის ტბის მიმდებარე სადაო ტერიტორიის გადაცემაც მოჰყვა.

ამ დროს გიორგი XI-ე მეფედყოფილი ახალციხეში იყო გადასული, სადაც ადგილობრივმა ფაშამ მას რუსების სასარგებლოდ ჯაშუშობა დააბრალა და ამ საბაზით იგი დაატყვევა და რაბათის აყროლებულ ჯურდმულში ჩააგდო. ეს რომ არჩილმა გაიგო ქუთაისის თურქული გარნიზონი ბლოკადაში მოაქცია და ისეთ დღეში ჩაყარა, რომ დამშეულ იანიჩრებს ქუთაისელი ძალები და თავგები რომ გამოეღიათ, ძველი ტყავის ჩექმებს ხარშავდნენ და იმასლა ჭამდნენ – ციხე მალე უნდა დაცემულიყო, მაგრამ აქ არჩილს ისევ ლიბარტიანმა უღალატა: ღამე დამშეულ მეციხოვნეებს საჭმელ-სასმელი ჩუმად შეუგზავნა, თვითონ კი ჯარით ოდიშში გაიქცა.

გამადლარი თურქთა გარნიზონი გათამამდა, ღამით ციხიდან გამოვიდა და 1691 წელს ცნობილი ბაგრატის ტაძარი ააფეთქეს კიდეც. იმავე წელს ალექსანდრე IV-ე ოსმალთა მოყაყანე ჯარით ახალციხიდან იმერეთში ზურნა-დოლების ბრავუნით შემოვიდა და იმერეთის ტახტი ხმაურით დაიკავა. არჩილი ტრადიციულად ჯერ ჩხერის ბნელ

ციხეში დაიძალა, შემდეგ ბორჯომის გაუვალ ტყეში გადაბარგდა.

ამასობაში ახალციხეში დატყვევებული გიორგი XI-ე მეფე-ყოფილი იქაურმა ქართველებმა ციხის უფროსთან ოთხ მეგრელ ქალში გაცვალეს, ჭირგავრცელებულ ახალციხიდან ჩუმად გამოაპარეს, რომელიც ბორჯომის უღრან ტყეებზე გამოვლით ქართლში გადმოვიდა და ტახტზე პრეტენზიები ახლა ქართლის მეფეს, მუდამ ნასვამ ერეკლე I-ს წაუყენა. ხელი ხელს ბანსო და ერეკლე I-ის დაცვა ახლა იმერთ მეფემ ალექსანდრე IV-მ ითავა: საკუთარი ძალის დემონსტრირების მიზნით ქართლში გადმოვიდა, იმერთ ჯარით ლეკებისაგან დაშინებული ქართლის სოფლები მოარბია და დიდძალი ნაძარცვით უკან, რომ ბრუნდებოდა, ტაშისკარში, მტკვრის ვიწრო სანაპიროსთან ლელიანში ჩასაფრებულმა არჩილმა ნაძარცვი დააყრევინა და თვით იგი კი ტყვეობას ძლივს გადაურჩა.

ალექსანდრე IV-ის ასეთ მოქმედებებს ემატებოდა მისი უზნეო ხასიათი, ხალხით ვაჭრობა. ამიტომ მისმა ცოლმა, თამარ აბაშიძემ მამას, გიორგის სთხოვა ალექსანდრე IV-ე გიორგი XI-სთვის გადაეცა და ამით დაესაჯათ. ამ დროს არჩილის მიერ ტაშისკართან დამარცხებული გადაქანცული ალექსანდრე IV-ე სკანდის ციხეში იმყოფებოდა. შეთქმულებას მის წინააღმდეგ ხელმძღვანელობდა სიმამრი გიორგი აბაშიძე. მათ ციხიდან გამოიტყუეს ალექსანდრე IV-ე და დიდი ზარ-ზეიმით გიორგი XI-ს გადასცეს, რომელმაც ყელზე თოკმობმული ყოფილი მეფე ძალღივით თრევა-თრევით რუისში მოიყვანა, წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის ეზოში დაახრჩო და იქვე უპატრონო ძალღივით ჩაფლა: 1695 წელს არჩილი მეოთხედ გამეფდა იმერეთში, ხოლო დაქვრივებულმა დედოფალმა თამარ აბაშიძემ კომპენსაციის მიზნით გიორგი XI-ს ცოლობა შესთავაზა, მზითვად კი იმერეთის ტახტი. გიორგიმ უარი სტკიცა. თამარმა ახლა არჩილს შესთავაზა ცოლობა. მანაც უარი უთხრა, რამაც თამარი ძალზედ დაამწუხრა და გულმოკლული სკანდის ციხეში გადაბარგდა. შვილის გულის დარდის განსაქარვებლად გიორგი აბაშიძემ და გიორგი ლიპარტიანმა სადღაც გამონახეს ბაგრატიონთა გვარის ვინმე გიორგი, ტანდაბლობისა და ენაბლუობის გამო, ყველა რომ დაცინვით „გოჩიას,, ეძახდა და 1696 წელს იმერეთის მეფედ გამოაცხადეს. ცოლად, ახალმა მეფემ, რა თქმა უნდა დიდი მოწიწებით, ყველასგან დაწუნებული თამარ აბაშიძე „შეირთო,, არჩილი კი მეოთხედ იქნა გაგდებული იმერეთიდან.

ეტყობა ამ დროს შემოდის ქართლ-კახეთის სამეფო კარზე იმერეთის

მეფეთა დამცინავი სახელი - „კრუხის პალო.“

ერთი წლის თანაცხოვრების შემდეგ, თამარს მოსწყინდა ამგვარი სასაცილო ქმრის გვერდით ყოფნა და თავისი ნაღველი „ყოვლისშემძლე,, მამას გიორგის გაანდო. შედეგი კი ის იყო, რომ 1698 წელს გიორგი „გოჩია,, სიმამრმა გიორგი აბაშიძემ ისე მოაშორა იმერეთის ტახტიდან, რომ არც არავის გაუგია და არც არავინ დაინტერესებულა.

ამ დროს ტახტიდან ოთხჯერ გაგდებული არჩილი ისევ ველურ დიგორას იდგა და რუსეთში ემზადებოდა წასასვლელად, რომ გააგებინეს იმერეთის ამბები და იქვე დაუმატეს: იქნებ მეხუთედ გეცადა ბედიო?

აცუნდრუკებული მეფე-პოეტი არჩილიც სიამოვნებით დათანხმდა და 1698 წელს დიდი ტაში-ტუშით ქუთაისში მეხუთედ გამოაცხადეს იმერთა მეფედ.

ექვსი თვის შემდეგ ოსმალთა სულთანმა რატომღაც ჩათვალა, რომ იმერეთის მეფე უნდა ყოფილიყო ალექსანდრე IV-ის ძე სვიმონი, რომელიც ქართლში ერეკლე I-ის კარზე იზრდებოდა. ამიტომ ყველასაგან დაუკითხავად 1699 წელს ახალციხის ფაშამ სვიმონი ქუთაისს გაამეფა. იმერეთიდან მეექვსედ გაგდებულმა არჩილმა ასეთი ლექსი წარმოსთქვა:

დავაგდე ქაჯთა ქვეყანა,
ღვთისაგან დაწყევლილისა.,
ვინც გახდეს მათი მოყვარე,
იქმნეს მაჰმადის სჯულისა...

გიორგი აბაშიძემ თავისი მეორე ასული ანიკა, რომელიც ამ დროისათვის აზნაურ ნასყიდა იაშვილის ცოლი იყო, სასწრაფოდ სიძეს წაართვა და თმახუჭუჭა ახალგაზრდა სვიმონს შერთო. მეორე დას, ყოფილ დედოფალ თამარს შეშურდა დის ბედი: ამიტომაც ორმოციოდე წლის მსუქანმა დედაკაცმა 26 წლის გიორგი ლიპარტიანს გააგდებინა ცოლი – შვიდი შვილის დედა და თვით დაუჯდა ცოლად, თან მამასთან, გიორგი აბაშიძესთან ერთად იმერეთის ხაზინადარის მოვალეობა ითავა. ამდენი ხალხის მზრძანებლობა ვერ აიტანა სვიმონმა, ერთ ღამეს სასახლე მიატოვა და ისევ ერეკლე I-თან, თბილისში გამოიქცა. საქმეში ახლა მამია გურიელი ჩაერია: იგი ახალციხის ფაშას შეუთანხმდა, ქართლიდან ჩამოიყვანა სვიმონი, ცოლს – ანიკა აბაშიძეს გაჰყარა და ახალ ცოლად თავისი ქვრივი და მიათხოვა. ამით შეურაცხყოფილმა გიორგი აბაშიძემ სიძეს, ლიპარტიანს სთხოვა დახმარება – ორივემ კი მამია გურიელს მაცდური

წინადადება შესთავაზეს: თუ შენს სიძეს – სვიმონს მოჰკლავ, შენ გაგამეფებთო.

ჰამით გასიებული მამია დათანხმდა და 1701 წელს სიძეს ძილში ბალიში დაადო, ზედ დააჯდა და გაგუდა.

იმერეთი XVIII საუკუნის I ნახევარში

სვიმონის სასწრაფოდ მოკვლის შემდეგ იმერელმა დიდებულებმა მეფედ დიდი ერთსულოვნებით მამია III-ე გურიელი გამოაცხადეს, თუმცა გიორგი აბაშიძემ მეფეს საშემოსავლო ქონება წაართვა, რის გამოც ვალები რომ გადაეხადა, მამია III-ე გურიელი იძულებულია ქუთაისის ახლომახლო სოფლებიდან ატირებული პატარა გოგობიჭები მოიტაცოს, სარფიანად ივაჭროს ახალციხის ამმორებულ ბაზარზე და სამეფო ხაზინის ფული ამ გზით იშვოს.

ბოლოს ესეც მოსწყინდა, 1702 წელს ღამით, უჩუმრათ მეფობას თავი დაანება და თავის მამულში, გურიაში უკანმოუხედავით გამოიქცა. ეს ლაჩრობაში ჩაუთვალა დედამისმა ელენემ, ცემით და წყევლა -კრულვით ჩანესტიანებულ გურიიდანაც გააგდო და გურიაში გაამთავრა მეორე ძე ქაიხოსრო. ნაცემი გიორგი გურიელი ახალციხეს წავიდა. იმერეთის დაცარიელებულ სამეფო ტახტზე მეფედ გიორგი აბაშიძე გამოცხადდა, რომელმაც პირველივე განკარგულებით 1703 წელს ოსმალებთან ტყვეთა სყიდვა აკრძალა. ამით გაგულისებულმა ოსმალებმა იმერეთის სასტიკი დასჯა გადაწყვიტა: 1703 წლის იანვარში ოსმალთა დიდი არმია, ხმაურითა და ძარცვა-გლეჯვით ქოსა ხალილ ფაშას სარდლობით იმერეთს მოადგა, თან ადღალში სვიმონის ძმა გიორგი ალექსანდრეს ძე მოჰყავდათ გასამეფებლად. მამია გურიელმა დაინახა, რომ ოსმალები ბევრნი იყვნენ, თანაც გიორგი აბაშიძის გამეფება შეშურდა – ამიტომ ხალილ ფაშასთან წელში ორად მოხრილი გამოცხადდა, მორჩილება აღუთქვა და თან საჩუქრად ღმერთმა იცის სად ნაშოვნია დიდი რუსული ბრინჯაოს სამოვარი მიაართვა, რომლის გამოყენება არც ერთმა მხარემ არ იცოდა.

ხალილ ფაშას კარვიდან მამია გამოსული არც იყო, რომ კარავში ახლა ბედნიერი სახით იმერელი თავადი მიქელაძე შეიჭრა და ოსმალებს იმერეთის გაუკვალავ გზებზე ერთგული მეგზურობა დიდი სიამოვნებით შესთავაზა. ქვეყანა ისევ კატასტროფის წინაშე აღმოჩნდა, მაგრამ 1703 წელს იმერეთში გამოსაგზავნ ძირითად ოსმალურ ჯარებში, რომელის ისტამბულში იდგა, აჯანყებამ იფეთქა ნაძარცვი

ალაფის გაყოფის გამო, მათ აიღეს ისტამბული, სულთანი მუსტაფა II-ე ციხეში ჩააგდეს და ახალ სულთანად მისი ელამი მძა აჰმედ III-ე დიდი ხმაურითა და დოღების ბრაგა-ბრუგით დანიშნეს, რომელმაც იმერეთში უკვე საბრძოლველად შემოსული ჯარები უკან გამოიწვია თავად მიქელაძის საუბედუროდ. გამობრუნებამდე კი ხალილ ფაშამ გიორგი აბაშიძესთან მოლაპარაკება გამართა: უნდა გამეფებულიყო გიორგი VI-ე ალექსანდრეს ძე და განახლებულიყო ხარკის გადახდა ტყვეთა სყიდვასთან ერთად. გიორგი აბაშიძე დათანხმდა და ახალ მეფეს მრჩევლად თვითონვე უპითხავად დაენიშნა. ფაქტიურად მეფედ ისევ გიორგი აბაშიძე რჩებოდა. ეს არ მოეწონათ იმერეთის სხვა დიდებულებს. მათ მიიმხრეს ქართლის ჯანიშინი ვახტანგ VI-ე, რომლის ძმისშვილზე იყო ნაქორწინევი გიორგი VI-ე. მათი დახმარებით 1707 წელს მშინარა გიორგი VI-ემ გაბედა და თანამდებობიდან გადააყენა აბაშიძე. განაწყენებულმა გიორგი აბაშიძემ მიიმხრო ლიპარტიანი და რაჭის ერისთავი და მეფის წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა დაიწყო. მეფემ შეთქმულები დაამარცხა, ყველას თავები პირწმინდათ გადაპარსა და ტყვედ ჩაგდებულნი ახალციხეში მონებად კარგ ფასად დაყიდა, ხოლო ასაკიანები კი, რომლების ვერ გაიყიდე-ბოდნენ კირიან კასრში, რა თქმა უნდა, ცოცხლად ჩაამარხინა.

ამ დროს მასთან გამოცხადდნენ ლიპარტიანის შვილები კაცია და ბეჟანი და სთხოვეს მამის გადაგდება ოდიშის მთავრის თანამდებობიდან და მის ადგილზე კაციას დანიშვნა. გიორგი VI-ე დათანხმდა, დალაშქრა ოდიში, მთავრად კაცია დასვა, ხოლო მამამისი გიორგი აფხაზეთს გააქცია. შემდეგ გულმოსულმა გიორგი VI-ემ დიდი მონდომებით გურია დალაშქრა, მაგრამ სანამ ის გურიას არბევდა, იმერეთს რაჭის ერისთავი შოშიტა შემოესია და სოფლების ძარცვა დაიწყო. ამ დროსვე სამეგრელოდან წამოღებული ნამარცვის წილი რადგან არ მიიღო, ისევ განაწყენდა გიორგი აბაშიძე გიორგი VI-ზე, გაბრაზებული ქართლში გადმოდის და ვახტანგ VI-ის მხლებელი ხდება.

1711 წელს საეჭვო ვითარებაში მაგიდასთან ჭამისას მოკვდა კაცია ლიპარტიანი და გიორგი VI-ემ ოდიშის მთავრად ისევ მამამისი, გიორგი ლიპარტიანი დანიშნა, რომელმაც მანამდე მეფეს დიდძალი ქრთამი მიართვა. ამის შემდეგ გიორგი VI-ემ რაჭის აოხრება დაიწყო, მაგრამ ლიპარტიანის ღალატის გამო მისი საბოლოო დამორჩილება ვერ შეძლო.

გიორგი VI-ის ამგვარი გააქტიურებით შემფოთებული იმერელი თავადები შეითქვნენ და 1711 წელს გიორგი VI-ე იმერეთიდან

გააგდეს, ხოლო ახალ მეფედ ისევ ძველი, მამია III-ე გურიელი დანიშნეს. გიორგი VI-ე მეფედყოფილი ჯერ ქართლში გადმოდის, მაგრამ აქ მასზე განაწყენებული გიორგი აბაშიძის ინტრიგის გამო ყოფილ მეფეს უბოდიშოდ აგდებენ და ისიც სევდიანი ახალციხეში მიდის.

მალე ხარბ და ანგარიშიან მეფე მამია III-ესა და ამბიციურ თავადებს ბეჟან ლეჩხუმის ბატონ და ზურაბ აბაშიძეს შორის წინააღმდეგობამ იჩინა თავი. თავადებმა ახალციხის ფაშას ისაყ-ფაშას ჯარი და მასთან მყოფი გიორგი VI-ე მეფედყოფილი გამოსთხოვეს, 1712 წელს ჩხარში მამია გურიელს ბრძოლა გაუმართეს, დაამარცხეს და მეფედ ისევ გიორგი VI-ე დანიშნეს. ცოტა ხანში ახალ – ძველ მეფესა და თავადებს: გურიელს, დადიანს, აბაშიძესა და ბეჟან ლეჩხუმელს შორის ისევ წინააღმდეგობა წარმოიშვა. 1713 წელს მათ ოკრიბაში მეფე გიორგი VI-ე დაამარცხეს და ახალ მეფედ ისევ მამია III-ე გურიელი აირჩიეს, მაგრამ ამდენი გაგდება-გამოგდებით დაღლილი მამია 1714 წლის იანვარს მოკვდა და ოსმალთა ჯარის დახმარებით მეფედ ისევ გიორგი VI-ე გამოცხადდა. მან შურისძიება განიზრახა და აბაშიძეთა მამულების აოხრება დაიწყო. ბეჟან დადიანი და ზურაბ აბაშიძე ახალციხეში გავარდნენ, ისაყ-ფაშას ქრთამი მისცეს და გიორგი VI-ის მოშორება სთხოვეს. იგიც დათანხმდა და მათ ასპინძაში მდგარი გარნიზონი მისცა. გიორგი VI-ე რაჭაში გავარდა ჯარის შესაკრებად. ბრძოლა მოხდა 1716 წელს სოფელ სიმონეთთან, სადაც გიორგი VI-ე დაამარცხდა და თავქუდმოგლეჯილი ქართლში გამოიქცა, ხოლო იმერეთის მეფედ გამარჯვებულებმა მამია III-ის ძე გიორგი გურიელი გამოაცხადეს. მან გადაწყვიტა გურიის სამთავრო ქონება ქუთაისს წამოეღო, მაგრამ გზაში შოშიტა რაჭის ერისთავმა თავისი ნაყაჩაღარი ხალხი დაახვედრა და პირწმინდად გაძარცვა. ამის გამო გადარიბებულმა გიორგი გურიელმა მეფობაზე უარი თქვა და გურიაში ცარიელი დაბრუნდა. უმეფო იმერეთი კი ზურაბ გიორგის ძე აბაშიძემ, ბეჟან დადიანმა და შოშიტა რაჭის ერისთავმა გაიყვეს. ამის აღსანიშნავად შოშიტას ასული ცოლად შეირთო ბეჟან დადიანის ძემ ოტიამ. მეფედყოფილი გიორგი VI-ე ქართლიდან ჯერ ახალციხეში მიდის, შემდეგ ისტამბულში და ქრთამის დახარჯვის შემდეგ იმერეთში ისაყ-ფაშას ახალი ბრძანება მოდის: გიორგი VI-ე ისევ მეფე უნდა იყოსო! 1719 წელს გახარებული გიორგი VI-ე ოსმალური ჯარით ოკრიბას მივიდა, ოპოზიციონერი თავადები დაამარცხა და მეოთხედ გამეფდა.

არა! ამის ატანა აღარ შეიძლებოდა, და ამიტომ, 1720 წელს სიმონ აბაშიძემ (ზურაბის ძემ) პატივისცემით გიორგი VI-ე ბაგრატიონი დაპატიჟა ქეიფზე, შემდეგ მოსასვენებლად თხმელის ციხეში გადაიპატიჟა მეორე სუფრაზე და ამ სუფრაზევე ღორივით დაკლა, მისი მხლებელნი, კი ყველას თავები გადაპარსა და ფოთში მონებად დაყიდა. იმერეთი ისევ ძველმა ტრიუმფირატმა გაიყო.

იმის გამო, რომ იმერეთის სამეფო ქონება შოშიტა ერისთავთან რჩებოდა, მას ზურაბ აბაშიძე გადაემტერა, ხოლო ოსმალეთმა კი ახალციხის ფაშას პირით გიორგი VI-ის შვილის ალექსანდრეს გამეფება ბრძანა. ამ დროს ალექსანდრე ქართლში, ვახტანგ VI-ის კარზე იზრდებოდა. ისაყ-ფაშამ იგი გამოითხოვა და 1720 წელს ქუთაისში მეფედ დასვა. შოშიტა რაჭის ერისთავი პირველი ეახლა ახალ მეფეს და სამეფო ქონება ხელუხლებლად უკან დაუბრუნა, თან სამარის კარამდე მეგობრობა შეფიცა. ბეჟან დადიანმა მათი შეხმატკბილებული შეთანხმება ვერ აიტანა, ისაყ-ფაშას ქრთამი მისცა და თავი მეფის მეურვედ დაანიშნინა. მთავრებს შორის ქიშპი კიდევ უფრო გაძლიერდა. 1728 წელს გეგუთის სასახლეში ალექსანდრე V-მ ნადიმზე მიიპატიჟა ბეჟან დადიანი. აქვე იყო ზურაბ აბაშიძე და ისაყ-ფაშას ლოთი შვილი იუსუფი. იუსუფის მხლებელმა მაჰმად-ბეგმა ბეჟანი ხანჯლით მოკლა, მაგრამ ბეჟანის შვილმა ოტიამ ფანჯრიდან გადახტომა მოასწრო და გაიქცა. ეს ეპიზოდი მოაწყო ზურაბ აბაშიძემ და მეფე იმიტომ დათანხმდა, რომ მიხვდა, ამით თავადთა ერთიანობა მოირღვეოდა. ამის შემდეგ მეფის ძალაუფლება გაიზარდა.

ოტიამ, რომელიც მამის მოკვლის შემდეგ გადადიანდა, შურისძიების მიზნით გადაწყვიტა ალექსანდრე V-ის ჩამოგდება. მან მიიმხრო რაჭის ერისთავი და ზურაბ ერისთავი (მამამისის მკვლელობის ნიჭიერი ორგანიზატორი), მეფის ძმას მამუკას თავისი და შერთო ცოლად და მეფობასაც შეპირდა. შეთქმულნი ქუთაისს შემოიჭრნენ, მაგრამ მეფე ვერ ჩაიგდეს ხელთ და უკან გაბრუნდნენ.

ალექსანდრე V-ე მიხვდა, რომ მოკავშირეები სჭირდებოდა, ამიტომ 1732 წელს ცოლად შეირთო ლევან აბაშიძის ასული, ხოლო თავისი ასული დაბადებული პირველი ცოლისაგან, მამია გურიელს მიათხოვა. ამავე დროს მეფეს სასიამოვნო საშუალება მიეცა დაესუსტებინა რაჭის საერისთაო. საქმე კი შემდეგში მდებარეობდა: შოშიტა რაჭის ერისთავის ძმა, ჭამისგან დასიებული, მაგრამ ხუმარა გედევანი იყო გენათელი ეპისკოპოსი. მას ქართლის მმართველის

ვახტანგ VI-ის გოგო ცოლად უნდოდა თავისი ძმისწულ პაპუნასათვის, მაგრამ სანამ მას საქმროს მიუყვანდა, ხაროგოულის ტყეში გავლისას, ხის ძირას ჩაძინებულ საპატარძლოს თეთრ ფეხებზე თვალი მოავლო, სამღვდელო ანაფორის ქვეშ გული სასიამოვნოდ აუჩქროლდა და, სხვა რაღა უნდა ექნა, ძმისწულის საცოლედ დიდი სიამოვნებით შეაცდინა. ამიტომ მღვდლობაზე უარი სთქვა და თავისივე შეცდენილი ცოლადაც მოიყვანა. ამის გამო იგი რაჭიდან იყო გამოგდებული და ალექსანდრე V-ის კარზე ცხოვრობდა. აი ახლა კი მეფემ რაჭის მიწები გედევანს გადასცა, რათა რაჭის ერთი ნაწილი თავის მხარეზე ჰყოლოდა.

მაგრამ ამან ოპოზიციის აქტიურობა არ შეაჩერა. ბრძოლა მოხდა 1732 წელს ჩიხორთან. გაიმარჯვა მეფემ, რომლის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რამეთუ ტყვედ ჩაიგდო ოტია დადიანი. ოსმალეთი მიხვდა, რომ ოტიას დასჯით ალექსანდრე V-ე კიდევ უფრო გაძლიერდებოდა, ამიტომ მეფეს ოტიას გამოშვება უბრძანა, ოღონდ მანამდე ოტიას შუაკაცობის საბაზით ქრთამი გამოართვეს. ალექსანდრე V-ემ ეს ბრძანება კი შეასრულა, მაგრამ მანამდე ოდიშს მიწები ჩამოაჭრა და იმერეთს მიუერთა.

ალექსანდრე V-ე მაინც განაგრძობდა თავადთა შევიწროვებას: თავისი დის ქმარის ზურაბ აბაშიძის შვილს დავითს და პაპუნა წერეთელს ღალატის საბაზით თავები მოკვეთა და საჩხერის ხეობის დაპყრობა გადაწყვიტა, მაგრამ ვერ შეძლო. გამწარებულმა ზურაბ აბაშიძემ მიიმხრო გრიგოლ რაჭის ერისთავი და ოტია დადიანი და მეფის ჩამოგდება განიზრახა, მაგრამ ალექსანდრე V-მ ეს დროულად შეიტყო, 500 მშვიერი და ყველაფერზე დახარბებული ლეკი დაიქირავა და შეთქმულები გაანადგურა. ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგე ვახუშტი აბაშიძე (ზურაბის ძმა) ქართლში გამოიქცა. მეფემ ვერ მოისვენა და თავის ნახევარძმას გიორგის ქართლის მიყრუებულ სოფელ ტეძერში მყოფი ვახუშტი აბაშიძე ღამე ყჩაღურად მოატაცებინა და იმერეთში ნავარძეთის აუღებელ ციხეში გამოკეტა. დატყვევებულ ვახუშტის გამოექომაგა ახალციხელი იუსუფ ფაშა, მაგრამ ამაოდ. მან იუსუფი გაანაწყენა. ეს მომენტი გამოიყენა ოტია დადიანმა, ზურაბ აბაშიძემ და გრიგოლ რაჭის ერისთავმა და 1740 წელს ვარციხეში მდგარ ალექსანდრე V-ს თავს დაესხნენ. მეფე ქართლში გამოიქცა, ხოლო იმერთა ახალ მეფედ თავმოძვრნე თავადებმა მეფის ნახევარძმა გიორგი გამოაცხადეს. ლტოლვილ ალექსანდრე V-ს თან გაყვნენ სიმამრი ლევან აბაშიძე, გედევან რაჭის

ერისთავი, თან ყოველ შემთხვევისათვის დატყვევებული ვახუშტი აბაშიძეც გაიყოლიეს. ქართლიდან გედევან რაჭის ერისთავი ძველი აგურით ნაშენ დარუბანდში მდგარ ნადირ შაჰს ეახლა და დახმარება სთხოვა. ნადირმა ახალციხის ფაშას გადასცა ეს თხოვნა და შედეგად იმავე 1741 წელს ალექსანდრე V-ე ისევ მეფის ტიტულით დაბრუნდა ქუთაისს. მაგრამ დიდებულები მალე გადაუდგნენ მეფეს. გაავებულმა მეფემ ამ საქმის ორგანიზატორად თავისი სავთვალა ენაწყლიანი და კეკლუცი დედინაცვალი თამარი, რომელსაც ზედსახელად კოჭიბროლას ემახდნენ, ჩათვალა, დილაადრიან სამინებელში შეეჭრა და მძინარეს ლოგინშივე მოკვეთა თავი; შემდეგ ნახევარძმა გიორგის მომხრეები დაიჭირა და ოსმალეთში მონებად დაყიდა თითოეული ხუთ მარჩილად.

ამასობაში კი ზურაბ აბაშიძეს თავისი მოგვარეები დაუპირისპირდნენ. მეფემ ამითაც ისარგებლა, ზურაბი ქართლში გაამევა და აბაშიძეთა სათავეში სიმამრი ლევანი დასვა.

ლევანი გიორგი აბაშიძის (ყოფილი მეფის) შვილი იყო. როდესაც მისი გოგო ალექსანდრე V-ემ შეირთო და თანაც ზურაბის წინააღმდეგ მეფე მას დაუდგა, იგი გაძლიერდა და მამასავათ დიდი პრეტენზიები გაუჩნდა.

1743 წელს მეფეს კვლავ აუჯანყდნენ დადიანი და რაჭის ერისთავი. მეფე ქუთაისში გამაგრდა და თან დახმარება ახალციხის ფაშას სთხოვა. საბრძოლველად აღტყინებულმა მეფის მოწინააღმდეგეებმა უკუნეთ ღამეში ერთმანეთი ვერ იცნეს და ერთმანეთს დაუნდობლად და სიამოვნებით შეაწყდნენ. ამით მეფემ ისარგებლა და ადვილად გაიმარჯვა. ბრძოლაში მოკვდა გრიგოლ რაჭის ერისთავი. მის ნაცვლად ერისთავად დაჯდა მისი ძმა ვახტანგი.

1746 წელს თავადებმა კიდევ ერთხელ გააგდეს ტახტიდან ალექსანდრე V-ე, მის ნაცვლად კი მისი ძმა მამუკა გაამეფეს, მაგრამ 1749 წელს ახალციხის ფაშის დახმარებით ალექსანდრე V-ემ ტახტი კვლავ დაიბრუნა. ამგვარი დახმარება უანგარო არ იყო. ეს მეფემ კარგად იცოდა და ახალციხის ფაშასთვის, რომ „მადარიჩი“ მიეცა, ამისათვის ხახულის ღვთისმშობლის ხატს ძვირფასი თვლები დააცალა და ისინი დაყიდა. სამი დღის შემდეგ მეფეს „თვალი წამოათხია“ და ერთი თვის თავზე, 1752 წელს წაწყმედილი სული სულაც განუტევა. შესაბამისად ტახტზე ადის მისი ძე სოლომონ I. მან მიზნად ქვეყნის გაერთიანება დაისახა. ამის გამო მას პაპა დედის მხრიდან ლევან აბაშიძე, ორივე ბიძა – მამუკა და გიორგი აუჯანყდნენ და სოლომონ-მაც ახალციხეში გაქცევით უშველა თავს. აქ ქრთამით ახალციხის ფაშა

მიიმხრო და იმავე წელს იგი ისევ მეფედ ბრუნდება. სოლომონ I-მა მოწინააღმდეგეების დასჯა გადაწყვიტა: დედა და ბიძები იმერეთიდან გააძევა, პაპას ჯერ საკმაო ფული გამოსძალა, შემდეგ დაუნდობლად ციხეში ჩააგდო, მამია გურიელი გურიიდან გააგდო და მის ნაცვლად მისი ძმა გიორგი დასვა, თუმცა მამიამ ახალციხის ფაშას წყალობით გურიელობა ისევ დაიბრუნა.

სოლომონ I-მა მკაცრად დაიწყო ხელისუფლების გაძლიერება – აკრძალა ტყვეთა სყიდვა, ურჩ თავადთა დასჯამ მასობრივი ხასიათი მიიღო. ამან ოსმალეთის ეპილეფსიანი სულთანი ოსმან III და ახალციხე შეაშფოთა და მეფეს ტყვეთა სყიდვის აკრძალვის გაუქმება შემოუთვალა. სოლომონ I-მა უარით უპასუხა. საპასუხოდ იმერეთში ოსმალთა ჯარი შემოდის ალი ბეგ ფაშას და ქეპაია ფაშას მეთაურობით, რაჭის წუნკალ ერისთავ წულუკიძისა და მეფის პაპა ლევან აბაშიძის მეგზურობით, რომლებმაც ათასი ჯურისაგან შემდგარი ეს ჯარი ოკრიბაში ხრესილის ველზე, წყალწითელას დათრთვილულ ნაპირთან მოიყვანა. აყაყანებულ მუსლიმთა ამ აჭრელებულ ჯარს გვერდს „უმშვენებდა“ 4 000-ათასამდე იმერელ-რაჭველთა დაბოლმილი სამხედრო ნაწილიც. ისე კი ბრძოლის საბაზი შემწვარი ცხვრის ფეხი გახდა: სოლომონის კარავში ოსმალთა იანიჩრები შესულან და სახსნილოსათვის გამზადებულ სუფრიდან ცხვრის ბარკალი აუღიათ. სანამ შემინებული მზარეულები მეორე ცხვრის შეწვა-შეკაზმვას მოათავებდნენ, მეფეს სუფრაზე დაგვიანების მიზეზი მოუკითხია და როდესაც გაიგო, გაბრაზებულს ბრძოლა გადაუწყვეტია. ბრძოლა მოხდა 1757 წლის დეკემბერს და სოლომონის გამარჯვებით დასრულდა. ამ ბრძოლაში ვიღაც შროშელმა გლეხმა გეგელა თევდორაძემ მოკლა მეფის პაპა ლევანი, რომლის მიწები გულდამშვიდებულმა და დაწყნარებულმა სოლომონმა თავის სამეფოს შემოუერთა, ხოლო მკვლელს კი აზნაურობა უბოძა. ბრძოლაში გამარჯვებით გახარებულმა სოლომონმა ახალი სამეფო ბეჭედიც კი ჩამოასხმევინა ახალივე წარწერით: „ლომებრ მეყვე, მტერთ სისხლ მჩქევე, მეფე - სოლომონ!“

ამის შემდეგ მხოლოდ რაჭის საერისთაო რჩება მეფის აქტიური მოწინააღმდეგე. გურია სოლომონის მომხრე იყო, რამეთუ გურიელი მისი სიმამრი იყო. ხელისუფლების შემდგომი განმტკიცების მიზნით 1758 წელს საეკლესიო კრება მოიწვია, რომელმაც ტყვეთა სყიდვა აკრძალა. ამის გამო ახალციხის ფაშამ 1758 წელს დამშეული ლეკების 200 კაციანი რაზმი დაიქირავა და იმერეთის აოხრება დაიწყო. სოლომონ I-მა ხარკის გადახდა ისევ იკისრა, ოღონდ იმერეთის

ციხეებიდან ოსმალური გარნიზონები გაყარა, მათ შორის ქუთაისი-დანაც, რომლის გარნიზონის მეთაური კიკიან ფაშა წარმოშობით იმერელი კაცი იყო. ამის გამო გარნიზონთა მაკოორდინებული ფაშა ჰაჯი ახმედი სულთანმა ოსმან III-ემ სიკვდილით დასაჯა.

ამავე წელს გორში ქართლ-კახეთ-იმერეთის მეფეებს შორის სამხედრო დახმარების ხელშეკრულებაც კი დაიდო, მაგრამ იგი პრაქტიკულად არ სრულდებოდა.

იმავე 1758 წელს ახალციხის ლოთი ფაშა ჰასანი ორჯერ შემოესია იმერეთს, მაგრამ სოლომონმა იგი ორჯერვე დაამარცხა. მალე ოსმალურ ჯარებში თურქულ-ქურთული ნაწილები დაერივნენ ერთმანეთს, რამაც იმერეთს დროებითი დასვენების საშუალება მისცა.

ამის შემდეგ ოსმალეთი სოლომონის მოწინააღმდეგებს უკავშირდება: ჯერ ახალციხეში მყოფ მეფის ძმას, მერე კი მეფის ბიძაშვილს თეიმურაზ მამუკას ძეს. 1765 წელს ოსმალთა ჯარები ჯერ გურიაში, შემდეგ კი ოდიშში შედიან. მისმა მთავრებმა ოსმალებთან დაზავება ამჯობინეს. 1766 წელს კი ჰასან ფაშა და თეიმურაზ მამუკას ძე დოლების ბრავუნით ქუთაისში შედიან. სოლომონმა ბრძოლა ვერ გაბედა და ხარაგოულის ტყეში დაიძალა. იმერეთში მეფედ თეიმურაზი გამოცხადდა, რომელმაც ტყვეთა სყიდვა ისევ დაუშვა. მაგრამ თეიმურაზს ქართველი მომხრეები არ ჰყავდა და ამიტომ სულ ოსმალთა გარნიზონის რაზმებთან იყო შეკეტილი. ფაქტიურად კი ქვეყანას ისევ სოლომონი მართავდა, რომელიც ამ დროისათვის ხარაგოულიდან წერეთლების ციხე „მოდინახეში“, გადასულიყო. ამიტომ ოსმალებმა დაზავება 1767 წელს ისევ სოლომონთან ამჯობინეს. მაგრამ ეს ფორმალობა იყო, რამეთუ მეფედ ისევ თეიმურაზი ითვლებოდა. 1768 წელს სოლომონმა ლეკების დახმარებით თეიმურაზი ცხრაწყაროსთან დაამარცხა, დაატყვევა, მუხურის ციხეში ჩასვა და იქვე დაახრობინა კიდეც. მეფედ კი, რა თქმა უნდა სოლომონი გამოცხადდა. იმის გამო, რომ ამ წელს იწყებოდა რუსეთ-ოსმალეთის ომი, სულთანი მუსტაფა III-ე იძულებულია სოლომონი მეფედ სცნოს. ეს სოლომონ I-ის დიდი გამარჯვება იყო.

გახარებულმა მეფემ იმერული მიწის გადასახადი - ბაშ-მალი, რომელსაც ისედაც დიდი ხანია არავინ იხდიდა, ოფიციალურად გააუქმა, ხოლო საკომლო-ფულადი გადასახადი - მახთა კი შეამცირა. სასიხარულო მდგომარეობა მეფის საკვებ რაციონზეც აისახა: გამოძმ-რალ ღმოს შემწვარი ხორცი და დაპრესილი ხიზილალა შეემატა.

ყოველივე ამას კი მეფის სამეფო წესების დონის ამაღლებაც უნდა მოჰყოლოდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ შესაშური რეგულარობით, ყოველ პარასკეობით მეფის ბრძანებებს ხალხის მიმართ ხმამაღლა კითხულობდა ყველაზე მაღალ ხეზე აცოცებული, გაოფლიანებული და ძრომით აქოშინებული მაცნე.

სოლომონ I-მა ჩათვალა, რომ დადგა დრო ბოლო მოღალატე ერისთავი – როსტომ რაჭის ერისთავი დაესაჯა. 1769 წელს მეფემ თავისი ძალღივით ერთგული პაპუნა წერეთლის პირით მას შეუთვალა, რომ ვარციხეში შეხვედროდა საქმეზე. იმის გამო, რომ როსტომს კურდღლებზე ნადირობა უყვარდა, შეხვედრის შემდეგ მეფემ მას ნადირობა მდინარე რიონის ნაპირებზე შესთავაზა – ნაგებით მდინარის მეორე ნაპირს გადავიდნენ მეფე, როსტომი ცოლ-შვილით, ხოლო როსტომის დაცვა აღარ გადმოიყვანეს. აქვე როსტომს და მის ორ უფროს შვილს სოლომონ I-მა თვალები დათხარა და რაჭის საერისთაო ოფიციალურად გააუქმა. აქვე, ყოველ შემთხვევისათვის, როსტომის უმცროსი შვილი, სამი წლის ვაჟი მომავლისათვის შემოინახა; რა იცი, რა მოხდებოდა, მაგრამ პაპუნა წერეთელმა სადამოს ჩუმიად ბავშვი მოტყუებით გარეთ გაიყვანა, თონე გაახურებინა და აყვრებული ბავშვი თავით მანამდე ყავდა შიგ ჩააყუდებული, სანამ სიცხისაგან და ნაკვერჩხლისაგან მას თვალები არ დაეწრიტა. აი ასე!

1768 წელს იწყება რუსეთ–ოსმალეთის ომი, რომელსაც პრუსიის ცინიკოსი მეფე ფრიდრიხი „კოჭლებისა და ბრუციანების ომს“ უწოდებდა და ამ მიზეზით საქართველოს ტერიტორიაზე რუსთა ჯარი შემოდის. რუსთა ჯარის მეთაურის ადიუტანტი, დახვეწილი ფრანგი დე ფუა ამ შეხვედრის შესახებ წერდა: „მათი მეფე სოლომონი თავისი 1500 კაცით სულ ტყეში ცხოვრობს და ამიტომ ყაჩაღთა მეთაურს უფრო წააგავს, ვიდრე მეფეს... მისი ნახვის შემდეგ ნამდვილად დავრწმუნდით ერეკლეს ნამბობის სისწორეში, რომელსაც მანამდე ვერ ვიჯერებდით.“

რუსთა ამ ჯარის წყალობით სოლომონი ოსმალთა გარნიზონებისაგან ყველა ციხეს ათავისუფლებს, შემდეგ ისევ რუსთა ჯარის დახმარებით ოდიშის და გურიის სამთავროების გაუქმებას ცდილობს, მაგრამ რუსეთის სარდლობა მისი ამგვარი აქტიურობის წინააღმდეგია, რომ იგი ერთპიროვნულად არ რეგიონში გაძლიერდეს.

ამ დროსვე იმაზება ურთიერთობა სოლომონსა და ერეკლე II-ს შორის, რამეთუ ქვეყნის გაერთიანების შემთხვევაში მეფედ ორივე

თავის კანდიდატურას მოიაზრებდა. ამას დაემატა ისიც, რომ სოლომონს ამბავი მიუტანეს: აქოთებულს მოზდოკიდან წამოსულ რუსთ ჰუსართა ბატალიონს თავისი ორი დიდი ბრინჯაოს ზარბაზნითა და სარდალ ტოტლებენით იმერეთში უნდოდათო გადმოსვლა, მაგრამ სოფელ ხოდაში მათ ეს მეტიჩარა ერეკლე დახვედრია პურიტა და წნილიტა და ჩვენს დასაცავად წამოსული რუსები ამ გასავერანებელს თბილისს წამოუყვანიაო.

ქართველ მეფეებს შორის შინაურული ინტრიგების ხლართვამ რუსეთის და ქართლ-კახეთ-იმერეთის ჯარების ერთიანობის დაქსაქსვა გამოიწვია. თანაც სოლომონ I-მა აქტიური ბრძოლა წამოიწყო კაცია I დადიანის წინააღმდეგ ოდიშის შესამოერთებლად, კაციას კი ერეკლე II-ის და ელისაბედი ჰყავდა ცოლად და ამიტომ დახმარება ერეკლეს სთხოვდა;

ერეკლეს ახალციხის საფაშოს გაუქმება უნდოდა ტოტლებენის რუსული ჯარის მეშვეობით, სოლომონს კი ახალციხე თავისად უნდოდა და ამიტომ ტოტლებენს ერეკლეს წინააღმდეგ ყველანაირი საშუალებით აგულიანებდა.

ყოველივე ამან გამოიწვია რუსთა ჯარის არაეფექტური მოქმედება და 1772 წელს მათ იმერეთი საერთოდ დატოვეს კიდეც. ამან იმერეთში დიდი არეულობა გამოიწვია, თუმცაღა ფორმალურად იგი რუსეთ-ოსმალეთის დროებით 1772 წლის ზავს მიუერთდა.

1773 წელს სოფელ სანგარში ხელახლა იდება ძალმანდურავი სამხედრო შეთანხმება იმერეთსა და ქართლს შორის, მაგრამ ფიცხი სოლომონი მას ხშირად არღვევს, აძლევს რა თავშესაფარს ქართლ-კახეთის რენეგატ თავადებს. მიუხედავად ამისა, სოლომონმა და ერეკლემ ერთად მაინც ილაშქრეს ახალციხეს და აიკლეს.

საპასუხოდ ახალციხის ფაშამ 1774 წლის იანვარში ლეკთა ჯარი შეუსია იმერეთს. სოლომონს ერეკლე მიეშველა და ჩხერთან ბრძოლაში გაიმარჯვეს კიდეც.

1774 წელს იდება ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულება რუსეთ-თურქეთს შორის, რომლის ძალით იმერეთი ისევ ოსმალთა გავლენის სფეროდ დარჩა, ოღონდ ტყვეთა სყიდვის გარეშე, აღარ შევიწროვ-დებოდა იმერეთის მეფე და თავზეხელაღებული იანიჩრები ეკლესიებს აღარ დაანგრევდნენ. ამავე ზავის თანახმად ოსმალებმა მოინდომეს იმერეთის ციხეებში თავიანთი გარნიზონების ჩაყენება, მაგრამ სოლომონმა ამგვარი ციხეები მანამდე მოანგრია, რამაც სოლომონის ძალაუფლება კიდეც უფრო გაზარდა. ამან ძალზე შეაშ-

ფოთა კაცია დადიანი და გიორგი გურიელი – მეფის ცოლის ძმა. მათ გადმოიბირეს ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ალექსანდრე და 1776 წელს მამამისს აუჯანყეს. მეფემ გაიმარჯვა და მოთავენი სასტიკად დასაჯა: ყველას დასთხარა თვალები, თავისი ძეს ევგენი აბაშიძის (მოჯანყე) ასული გაჰყარა და ბერი წულუკიძის (მომხრე) ნახევრად ბრმა ასული დარეჯანი შერთო. თავისი ბიძაშვილი დავით გიორგის ძე იმერეთიდან გააძევა. არა, ჰუმანიზმი მაინც გამოამჟღავნა მეფემ – ყოველ მეთათე მოჯანყეს ცალი თვალი დაუტოვა.

ამასობაში ურთიერთობა დაეძაბა ერეკლე II-ს, რამეთუ ერეკლემ კარგი ურთიერთობა დაამყარა ახალციხის ფაშასთან და ელჩებიც კი გაცვალეს. ამით გაავებულია სოლომონმა ერეკლეს მტერთან ირანთან დაიჭირა საქმე: მან ირანში ელჩად გაგზავნა პოეტი ბესიკი, რომელსაც ირანს მყოფი ვახტანგ VI-ის შვილიშვილი ალექსანდრე ბაქარის ძე უნდა ჩამოეყვანა იმერეთში, რათა იგი „ამ სპარსი შაჰების ბაჩა“ ერეკლეს წინააღმდეგ ალტერნატიულ მეფობის კანდიდატად წარმოეჩინა.

ამის საპასუხოდ ერეკლემ „ამ ბნედიანი“ სოლომონის ამბოხებულის ძე ალექსანდრე შეიფარა, რომელიც 1780 წელს თბილისში მოულოდნელად გარდაიცვალა. ამ დროს ერეკლე ერევნის სახანოში ომობს. როგორც კი გააგებინეს, რომ ალექსანდრე ბაქარის ძე სოლომონის დახმარებით ქართლში შეთქმულებას ამზადებდნენ, შეთქმულთა ენერგიული მოსპობა დაიწყო, მით უმეტეს, რომ ახალციხის ფაშა მის მხარეს იყო.

1782 წელს ალექსანდრე ბაქარის ძე დაღისტანში რაჭის გზით გადავიდა, რომ იქიდან აჯანყება დაეწყო, მაგრამ დაღისტნის შამხალებმა ის დაიჭირეს და რუსეთის ხელისუფლებას გადასცეს, რომლებმაც იგი სმოლენსკის აქოთებულ ციხეში ჩასვეს და მალე იქვე გარდაიცვალა კიდევ.

ოსმალეთი მტრულად ხვდება იმ ფაქტს, რომ დადიანი სოლომონ I-ს ემორჩილება, ამიტომ მან აფხაზები წააქეზა და ოდიშს შეუსია. დადიანს სოლომონი დაეხმარა და 1779 წელს სოფელ რუხთან ბრძოლაში აფხაზები დაამარცხეს – ამით სოლომონის ავტორიტეტი კიდევ უფრო გაიზარდა. ამ დროსვე მან შემოიღო სამეფო კარის სახლთუხუცესის თანამდებობა, რომელზეც დანიშნა ზურაბ წერეთელი და თან დიდი ნაკვეთებიც გადასცა ზემო იმერეთში.

1783 წელს იდება გეორგიევსკის ტრაქტატი, რომლის ძალით რუსეთის დაქვემდებარებაში გადადის ქართლ-კახეთი. ამით

ისარგებლა ოსმალეთმა და საჩქაროდ აჭარა-გურიის გამუსულმანება დაიწყო, მით უმეტეს, რომ მათი მთავრები ამგვარ გადანათვლას წინააღმდეგობას არ უწევდნენ. ეს სოლომონს არ აწყობდა და როდესაც მამია IV-ე გურიელის მეუღლე, სოლომონის და როდამი გარდაიცვალა, მეფე-გურიელს შორის მტრობა ჩამოვარდა: სოლომონმა თავისთან მამიას მემკვიდრე 14 წლის დავითი წამოიყვანა, ვითომდა აღსაზრდელად და თვალები დასთხარა, თან ჯარების შეკრება დაიწყო გურიაში შესაჭრელად. გურულები ამან აამბოხა. ამით ისარგებლა გიორგი გურიელმა, თავისი უნიათო ძმა მამია გურიელობიდან გადააგდო და 1776 წელს თვით გამთავრდა. იგი მართალია „თურქოფილი“, იყო, ოსმალთა დასანახავად მწვანე ყდა გადაკრულ ყურანსაც პატივით დაატარებდა და სურმაწასმულ წვერსაც მართლ-მორწმუნესავით გრძლადაც იზრდიდა, მაგრამ შექმნილ ვითარებას რეალურად ითვალისწინებდა და „ამ ღვთის რისხვა“ სოლომონთან ორმაგ თამაშს აწარმოებდა: მან სოლომონის დისწული, ზურაბ წერეთლის შავთვალა და ენაბლუ გოგო თავის ძეს სოლომონს შერთო. ამან ახლა ოსმალეთი შეაშფოთა და 1784 წელს მისი მითითებით აჭარის ბეგმა აბდულ ხიმშიაშვილმა გურია ააოხრა. საპასუხოდ სოლომონ I-მა გურიელთან ერთად აჭარის აოხრება გადაწყვიტა, ოღონდ რადგან გიორგის არ ენდობოდა, მძევლად მისი შვილი დაიტოვა ქუთაისს. მეფის ეს გეგმა ოდიშის მთავარმა ფოთის ფაშას ამცნო. მართალია მეფემ ქობულეთის მხარე დალაშქრა, ოსმალთა დასახლებები დაანგრია და იქ მარილიც მოაყარა, მაგრამ უკან დაბრუნებისას ნაჭიშკრეში მას ბათუმ-ჩაქვის მუსლიმი ქართველები დახვდნენ, გაიმართა ბრძოლა და სოლომონი ძლივს გადაურჩა დატყვევებას. ამ ბრძოლამ ძალზე დაამწუხრა მეფე.

იმავე წელს 23 აპრილს ხონში, დაღონებული გულის გადასაყოლებლად მიმავალ მეფეს მოულოდნელად ეპილეფსია დაეწყო, რომლითაც მთელი ცხოვრება იტანჯებოდა, ცხენიდან გადმოვარდა, თავი ქვას დაარტყა და მოკვდა. საჩქაროდ და დიდი ხმაურის გარეშე დაკრძალეს გელათს.

სოლომონ I-ს შვილი არ დარჩენია, ძმა ბაგრატის ფსიქიურად შეშლილი იყო. მეფეს ერთდერთი ძე ენაბლუ-ლიყიანი ალექსანდრე 1780 წელს თბილისში მოუკვდა. მას ვიღაც შინდისელი მემავისაგან ჰყავდა აუტიზმით შეპყრობილი შვილი გიორგი. ამიტომაც თავის მემკვიდრედ სოლომონი თვლიდა თავისი ძმის არჩილისა და ერეკლეს შვილის ელენეს ძეს დავითს, რომელიც ამ დროს 12 წლის

იყო. იმერელმა დიდებულებმა კი ტახტზე აიყვანეს სოლომონის ბიძის გიორგის ძე დავით, რომელიც იყო 29 წლის. ეს იმიტომ, რომ იმერლებს ეგონათ, თუ დავით არჩილის ძეს გაამეფებდნენ, ერეკლეს პოლიტიკა გაძლიერდებოდა და იმერეთს იგი შეიერთებდა. თანაც დავით არჩილის ძე ამ დროს კახეთში იზრდებოდა, სადაც დედამისი ელენე მეორედ იყო გათხოვილი ქიზიყის მოურავ ანდრონიკაშვილზე.

ახალი მეფე დავით გიორგის ძე გაამეფეს სარდალმა პაპუნა წერეთელმა, რომელიც ახალი მეფის დის ქმარი იყო და ბოქაულთ-უხუცესმა ბერი წულუკიძემ. ახალი მეფე პირობას იძლეოდა, რომ ბიძის, სოლომონის პოლიტიკას გააგრძელებდა. მაგრამ მალე მეფემ გადაწყვიტა დიდებულთა გავლენისაგან გათავისუფლება. ამის გამო დიდებულებმა ახლა დავით არჩილის ძის გამეფება გადაწყვიტეს. მას დაემატა ისიც, რომ ოსმალებმა იმერეთის მეფობის ახალი პრეტენდენტი გამოიჩინეს – ქაიხოსრო აბაშიძე.

ამის გარდა მეფობის მეოთხე პრეტენდენტი გამოჩნდა – როსტომ რაჭის ერისთავის ძე გიორგი, 1769 წელს სოლომონ I-ის მიერ თვალზე დათხრილი და ოსმალეთში გაძევებული, სადაც მას ქიორ-ბეის (ბრმა ბეგი) სახელით იცნობდნენ. ამ გიორგის ბებია იყო ალექსანდრე იმერთ მეფის და, ანუ სოლომონ I-ის მამიდა და ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის დისწული – აქედან მეფობის პრეტენზია. როცა მან გაიგო, რომ დავით გიორგის ძე გამეფდა, მეფობაზე უარი განაცხადა, რადგან ცოლად ჰყავდა მისი და ელენე. რჩებოდა ქაიხოსრო ლევანის ძე აბაშიძე. იგი თვლიდა, რომ რადგან მისი პაპა გიორგი აბაშიძე ერთხანს იმერეთს მეფობდა, ეს მას უფლებას აძლევდა მეფობაზე პრეტენზია ჰქონოდა. 1784 წელს ქაიხოსრო ოსმალთა ჯარით გურიაში შემოდის, მაგრამ მეფე დავით გიორგის ძე მას ამარცხებს.

ამის შემდეგ რუსეთის მოთხოვნით ოსმალეთი ქაიხოსროს დახმარებაზე ხელს იღებს. ამან მშვიდობა მაინც ვერ მოიტანა. 1785 წელს მეფესა და წერეთელ-წულუკიძეებს შორის მტრობამ იჩინა თავი. თავადები ტრადიციულად ოსმალეთს გავარდნენ. მათვე დაუკავშირდა კახეთიდან სასწრაფოდ ჩამოსული დავით არჩილის ძე. მტრობის მიზეზი შემდეგი იყო: დავით გიორგის ძემ რაჭის საერისთაო აღადგინა და იქ სათავეში ჩააყენა ბრმა ქიორ-ბეი. რაჭის მიწების დიდი და მსუყე ნაწილი კი უკვე წულუკიძეებსა და წერეთლებს ჰქონდათ დატაცებული. აი ამ მიწების დაბრუნება გახდა მტრობის მიზეზი. 1786 წელს წულუკიძე-წერეთელმა ახალციხის მესხურ-ოსმალური ჯარით იმერეთი მოარბიეს, მაგრამ დავით

გიორგის ძემ ისინი დაამარცხა და ისევ ახალციხეში გარეკა.

დავით გიორგის ძის გამეფებაში დიდი წვლილი მიუძღვოდა კაცია დადიანს. სიკვდილის წინ მან მეფე დავით გიორგის ძე დაიბარა და მცირეწლოვანი შვილები გრიგოლ და მანუჩარი ჩააბარა და მათზე ზრუნვა სთხოვა. 1788 წელს კაცია მოკვდა. დადიანად დაჯდა 18 წლის გრიგოლი. ორი თვის შემდეგ დავით გიორგის ძემ ჯარი შეიყვანა ოდიშში, გრიგოლი ლეჩხუმში გააგდო, დადიანად მისი ძმა მანუჩარი დასვა და თან ოდიში გაძარცვა, რითაც მეფემ ოდიში გადაიმტერა. ამით ისარგებლეს თავადებმა, საერთო ძალით მეფე მათხოჯის ტყეში დაამარცხეს და ახალციხეს გააგდეს. ტახტზე ავიდა დავით არჩილის ძე, რომელმაც ზიძის საპატივსაცემოდ სახელი შეიცვალა და სოლომონ II-ე დაირქვა. ამ დავითის მამა არჩილი სოლომონ I-ის ძმა იყო. იგი ძალზე უზნეო იყო და ეკლესიიდან იყო განკვეთილი. ამიტომ როდესაც მოკვდა, სასაფლაოს ნაცვლად სანეხვეზე ჩაფლეს. მისი ცოლი, იმერეთს მოძულეებული მეორედ გათხოვდა, ოღონდ კახეთში და იმერეთში საერთოდ აღარც ჩამოდიოდა.

1790 წელს დავით გიორგის ძე ლეკთა და ოსმალო ჯარით შემოიჭრა იმერეთს, სოლომონ II-მ დაამარცხა და ცოტა ხნით ისევ დაიბრუნა ტახტი. მაგრამ იმავე წელს ერეკლე II-ის მიერ გათამამებულმა სოლომონ II-მ, რომელიც მისი შვილიშვილი იყო, ლომსიათხევში მოქიშპე დავითი დაამარცხა და საბოლოოდ განდევნა ახალციხეში. 1794 წელს სოლომონ II-ისგან დამარცხებულმა მეამბოხეებმა ახალციხეში მოიყარეს თავი, ახალი გეგმის შესამუშავებლად, მაგრამ მოულოდნელად ახალციხეში ჭირი გავრცელდა, რომელმაც დავით გიორგის ძე შეიწირა. ამიტომ ტახტის ახალ პრეტენდენტათ გამოაცხადეს სოლომონ I-ის ძის ალექსანდრეს უკანონო ძე გიორგი, რომელიც მას ვინმე მემავ მარიამ ჟღენტისაგან ჰყავდა. დედა მას ადრევე გარდაეცვალა და მას სოლომონ II-ის მესამე ცოლი, ელამი და ფეხდასიებული გულქანა ზრდიდა. ამ გიორგიმ ცოლად შეირთო გურიელის ასული დარეჯან, რომლისაგან ჰყავდა ალექსანდრე და დიმიტრი. რამდენიმე იმერელმა თავადმა მოაწყო შეთქმულება გიორგის გასამეფებლად, მაგრამ სოლომონ II-მ დაასწრო, ყველა დააპატიმრა და მუხურის ციხეში ჩაყარა. აქედან გიორგიმ მოახერხა გამოპარვა, ქუთაისში მდგომ რუსთა სარდლობასთან მივიდა და რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო, 1807 წელს პეტერბურგში მიდის და იქ გარდაიცვალა. ამასობაში მისი ცოლ-შვილი თბილისს იყვნენ.

ამ პერიოდში ხდება ყველაზე ბინძური ფაქტი იმერთა ისტორიიდან: როდესაც ირანის შაჰმა ალა მაჰმად ხანმა საქართველოს მეფეს ერეკლე II-ეს სისხლიან კრწანისში 1795 წლის სექტემბერში უმოწყალო ბრძოლა გაუმართა, ერეკლეს შვილიშვილმა სოლომონ II-მ იმერლები-საგან 2 000 კაციანი ჯარი შეკრიბა და ქართლში საჩქაროდ გადმოვიდა. გახარებულმა თბილისელებმა ისე უხვად მოამარაგეს იმერლები ღვინით, რომ თუ მოისურვებდნენ, შეეძლოთ ებანავათ მასში. მუხრანის თეთრი ღვინით გაჟღენთილი იმერლები საბრძოლველად სულაც არ ჩქარობდნენ გასვლას, ლტოლვილებით გადაჭედილ ავლაბრის ხიდიდან აქოთებულ დუქნებში ძველებურ ჭრელ მუთაქებზე წამოწოლილიყვნენ და ასლოკინებულები ხშირად იძახდნენ:

- აბა, მოვიდეს ალა მაჰმადი, თუ ბიჭია! ვის შეუძლია ჩვენთვის წინააღმდეგობის გაწევო!“ (Memoris of the life of Artemi. p. 204)

სექტემბრის მზიან დღეს მათგან ნახევარი მართალია ერეკლე II გვერდზე დაუდგნენ, მაგრამ რომ დაინახეს, რომ გამარჯვება ირანელებს რჩებოდათ, ბრძოლას თავი დაანებეს და სანამ დღე იყო, შინ დაბრუნება საჩქაროდ გადაწყვიტეს. თანაც იმერლებს ახალციხის ფაშასთან ძველი ვალი ჰქონდათ გასასტუმრებელი და ამიტომაც კაცებისგან დაცლილ ქართლის ძარცვას მიჰყევს ხელი: დახარბებულებმა შიდა ქართლის სოფლებზე რეხა-გომზე გამოიარეს და ნამარცვ საზნებს, ჯამებს, ტაშტებსა თუ დაკემსილ ტანსაცმელს პატარა გოგობიჭებიც მიაყოლეს (მაშ რა ექნათ, ახალციხის ფაშას პატარა ბავშვები მოსწონდა, განსაკუთრებით კი ლამაზი ბიჭები, რომლებისაგანაც, ირანელების მიზამდით ბაშბოზების ჯგუფებს ქმნიდა) და გახარებულები ამგვარი ნადავლით უკან გაბრუნდნენ; თავს ზედმეტად რაზე აიტკიებდნენ? კრწანისის ბრძოლა ხომ ისედაც წაგებული იყო?! სამაგიეროდ პატარა ბიჭებს სასწრაფოდ წინადაცვეთა ჩაუტარეს და ახალციხის ცრემლიან გზას გაუყენეს, ხოლო უფრო დიდებს კი თავები პირწმინდათ გადაპარსეს და ფოთის აშშორებულ ბაზარზე გაიყვანეს.

ამასობაში რთულდება ურთიერთობა სოლომონ II-სა და გრიგოლ დადიანს შორის, რომელიც მეფეს ოდიშიდან გაგდებული ყავდა და იქ მისი ძმა მანუჩარი დაესვა. გრიგოლმა დახმარება ერეკლეს სთხოვა, რადგან ერეკლეს ძის გიორგის ასული ნინო ჰყავდა ცოლად. სოლომონმა ერეკლეს ცივი უარი უთხრა. ახლა გრიგოლი ლეჩხუმის მოურავს ქაიხოსრო გელოვანს შეუკავშირდა. ამასობაში მეფემ გრიგოლი დაიჭირა და ქუთაისის ციხეში ჩააგდო, მაგრამ ქაიხოსრო

გელოვანმა იგი ციხიდან გამოაპარა და სამეგრელოში ნოდას ციხეში ბიძამისთან გიორგი დადიანთან მიიყვანა. სოლომონ II-მ მანუჩარ დადიანთან ერთად ალყა შემოარტყა ნოდას ციხეს, მაგრამ ვერ აიღო და უკან დაბრუნდა. 1798 წელს სოლომონ II-ე იძულებული ხდება გრიგოლი ისევ ოდიშის მთავრად სცნოს.

მეფე მიხვდა, რომ გრიგოლმა ქაიხოსრო გელოვანის დახმარებით გაიმარჯვა და ამიტომ ქაიხოსროს ჩუმად მოაკვლევინა. ამით გრიგოლ-სოლომონის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა: სოლომონმა ლეკების ჯარით ააოხრა ოდიში, გრიგოლი კვლავ განდევნა და მთავრად მისი ძმა მანუჩარი დასვა. გაწამებული ოდიში ორად გაიყო. ამით ისარგებლა მეფემ და გადაწყვიტა ლეჩხუმი დაეპყრო, რომელიც გრიგოლს უჭერდა მხარს. სოლომონი და მანუჩარი ერთად წავიდნენ ლეჩხუმის ასაღებად. ლეჩხუმელებმა გრიგოლს უღალატეს და მეფეს მიემხრნენ. გრიგოლმა მურის ციხიდან საიდუმლოდ შემოუთვალა მეფეს: მანუჩარს ნულა გამოეჩომაგები და რასაც გინდა მოგცემო. მეფემ ჭყვიშის ციხე მოსთხოვა და დაიმეძღბულმა მანუჩარი უნამუსოდ ლეჩხუმს მიატოვა. გრიგოლმა ლეჩხუმი ისევ დაიკავა და ორბელის ციხეში დამალულ მანუჩარს გააგებინა, რომ მეფე მათი არც ერთის მეგობარი არ იყო. ძმები შერიგდნენ და ამიერიდან ერთად ებრძვიან მეფეს. მეფემ კი არც შეპირებული ჭყვიშის ციხე მიიღო და მოკავშირეც დაკარგა. 1802 წელს მოტყუებულმა მეფემ ეს ციხე მაინც აიღო, ოდიშიც მოარბია და ლეჩხუმიც დაიქვემდებარა და განადგურებული ოდიშის მთავრად გრიგოლის უმცროსი ძმა ოტია დასვა. ამით გაავებულმა გრიგოლმა მფარველობის თხოვნით მიმართა რუსეთის წარმომადგენელს ქართლ-კახეთში პავლე ციციანოვს, ხოლო თუ იგი უარს ეტყოდა, დაუმატა გრიგოლმა მაშინ თურქეთს შევუერთებო ოდიშს. 1803 წლის 4 დეკემბერს ოდიშის სამთავრო ავტონომიის უფლებით შეუერთდა რუსეთის იმპერიას: რუსეთმა მის მთავრად აღიარა გრიგოლი, ოდიშში ჩადგა რუსის ჯარი და რაც მთავარია ლეჩხუმი ოდიშს გადაეცა.

იმავე წელს მოკვდა გრიგოლ დადიანი. მისი 12 წლის ძე ლევანი აფხაზეთის მთავარს ქელაიშ ბეგ შერვაშიძეს ჰყავდა მძევლად და მის უკან დაბრუნებას დიდი გამოსასყიდის მიღების შემდეგ აპირებდა. პავლე ციციანოვმა გამოსასყიდის მსურველს მკაცრად შეუთვალა: თუ ლევანს არ გამოუშვებ, ჩემი ჯარით შენი სტუმრები ვიქნებითო, და სიტყვას საქმეც ზედ მიაყოლა – გენერალმა რიკჰოფმა 3 საათში ზარბაზნებით დაშალა მანამდე აუღებელი ანაკლიის ციხე. ამით

შეშინებულმა შერვაშიძემ ლევანი დიდი საჩუქრებით დააბრუნა უკან და რუსეთის იმპერატორის ბრძანებით იგი მთავარ ლევან V-ის სახელით ოდიშის გამგებლად დაინიშნა. რეგენტად მიეჩინა დედა – ნინო, ქართლ–კახეთის მეფის გიორგი XII-ის ასული, ხოლო მრჩევლად ნიკო დადიანი.

თუ რას წარმოადგენდნენ ამ პერიოდის იმერელი დიდებულები და განვითარების რა დონეზე იდგა მათი ზნეობა, ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ აკაკი წერეთლის მიერ ერთი მოყოლილი ამბავი: „ერთ ჩვენს გლეხთაგანს, სხვათა შორის, ნახევარი კვერცხი ემართა საბატონო გადასახადი: ყველიერის დასაწყისს ჩამოვიდოდა სასახლეს, სამზარეულოში მოხარშავდა კვერცხს, გაფრცქვნიდა, მერმე გაჰყოფდა ძუით შუაზე და ნახევარ კვერცხს მთავრად ბატონს, როგორც ბეგარას. ნახევარი კვერცხის ბეგარა ისე აწუხებდა იმ გლეხს, რომ რამდენ-ჯერმე სთხოვა ბატონს: ამომიკვეთე და ერთ ძროხას მოგართმევო“.

რა თქმა უნდა ამგვარ თხოვნაზე ბატონმა თავისი გონებრივი განვითარების დონის შესაფერისი პასუხი გასცა: საშვილიშვილო ვალდებულება, რომ მე მოვსპო ძროხის გულისთვის, ეს ღორმუცელობა იქნებოდაო!

აი ასე!

ანდა: სოფელ თავასას გლეხები ვალდებულები იყვნენ ახალ წელს დაკლული ბურვაკისათვის მარჯვენა ფეხი მოეჭრათ, ბატონის სახლში სიმღერა-გალობით მიეტანათ და შემდეგ ისევ უკან წამოეღოთ. ამას ბატონის სახლში „ბარაქის შეტანა - დაბრუნებას“ ეძახდნენ.

იმერეთი XVIII საუკუნის ბოლოს

1801 წელს სანკტ-პეტერბურგის ფეერულ საიმპერატორო ზამთრის ბრწყინვალე სასახლეში იმპერატორმა ალექსანდრე I გამოსცა „მისი უბრწყინვალესობის იმპერატორისა რუსსიისა, პოლშისა, ფინლანდიისა და ა.შ და ა.შ... მოწყალების მანიფესტი“ ქართლ–კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ.

ამ დროისათვის ურთიერთობა ქართლ–კახეთის ბოლო მეფე „ზაქიჰამია“, გიორგი XII-სა და სოლომონ II-ს შორის ძალზე დამაბული იყო: ინფანტილური გიორგი XII-ე ძალზედ აქტიურად ეხმარებოდა ოდიშის დამშეულ სამთავროს, რამეთუ მისი მმართველი გრიგოლ დადიანი, სოლომონის დიდი მტერი, მისი სიძე იყო.

სამაგიეროს გაბოროტებული სოლომონი იმით უხდიდა, რომ გიორგის მომტერე დედინაცვალ დარეჯანთან – თავის ბებიასთან და ბიძებთან, დარეჯანის შვილებთან დემონსტრაციულად მეგობრობდა. ამასთანავე, თუ ზანტი გიორგი XII-ე ტახტის მემკვიდრედ თავის ძეს ენერგიულ დავითს სთვლიდა, სოლომონი თავის ბიძას, დარეჯანის შვილს იულონს მიიჩნევდა მომავალ მეფედ. ამიტომაც განხეთქილება დავით–იულონის პარტიებს შორის სწრაფად ღრმავდებოდა.

1799 წელს ნათელი შეიქმნა, რომ ქართლ–კახეთის დამოუკიდებლობას წყალი შეუდგა - წყალმანკით დაავადებული და ერთიანად დასიებული გიორგი XII დიდ არაბულ ტახტიდან უკვე ვეღარ დგებოდა და თანაც თბილისის სამეფო კარზე საეჭვოდ გააქტიურდა რუსეთის წარმომადგენლები: განათლებული მუსინ-პუშკინი და მლიქვნელი კოვალენსკი. ეს გაითვალისწინა სოლომონმა და კონტრ-პროგრამა დასახა: იმერეთისათვის გათავხედებული სათავადოების შემოერთება, საყვარელი ბიძის იულონის ქართლ–კახეთის მეფედ აღიარება და იმერეთის შეერთება გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებზე.

1801 წლის ადრეულ გაზაფხულს სოლომონ II-ე რუსეთში ელჩად გზავნის ჯაფარიძეს, იმედდაკარგული იმერეთის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობებზე მიერთების თაობაზე და იულონის ქართლ–კახეთის მეფედ აღიარებისათვის. გენერალმა კნორინგმა ელჩი თბილისიდანვე უკან მოაბრუნა და თან მკაცრი გაფრთხილებაც მოაყოლა რუსეთში დაუკითხავად წასვლის თაობაზე. ამასთან ერთად საეჭვოდ შემოფოთებულმა კნორინგმა იმერეთს საგანგებო მისიით სამეფო კარის ინტრიგებში დახელოვნებული მოხელე სოკოლოვი მიავლინა, რომლის მიზანი იყო სოლომონ II-ის ტყვეობაში მყოფი ყოფილი მეფის დავით გიორგის ძის, დეპრესიაში ჩავარდნილი კონსტანტინეს განთავისუფლება, რომელიც რუსეთის აზრით შესაძლებელი იქნებოდა იმერეთში ახალი მეფის ალტერნატივად გამოყენებულიყო, რამეთუ რუსეთის წარმომადგენლებს მიუვიდათ ინფორმაცია, რომ სოლომონი ირანში მყოფ ფსიქოპათ ალექსანდრე ერეკლეს ძეს, სასტიკ ანტირუსისტს, თავის კიდევ უფრო საყვარელ ბიძას, საიდუმლოდ უკავშირდებოდა და ირანის სასარგებლოდ რუსების შესახებ ინფორმაციას აწვდიდა. რუსეთი აგრეთვე ნათლად ხედავდა, რომ სოლომონის თხოვნა მფარველობის შესახებ მოჩვენებითი იყო. ამის საბუთად ისინი სთვლიდნენ იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს დროებითი მმართველის გიორგი XII-ის ვაჟის დავითის მიერ ბიძის იულონის დამარცხების შემდეგ, აჯანყების ყველა მოთავე ქუთაისში იმალებოდა.

სოლომონი ახლა უფრო გააქტიურდა და ამიერკავკასიის წვრილმან ხანებთან, ჯერ კიდევ ამბიციურ ირანში და მარაზმში გადასულ ოსმალეთის ხონთქართან წერილს წერილზე აგზავნის ქართლ-კახეთზე ერთობლივი ლაშქრობის მოწყობის შესახებ, ხოლო სოკოლოვის თხოვნას გაენთავისუფლებინა მუხურის ჩახუთულ ციხეში გამოკეტილი დავით გიორგის ძის შვილი კონსტანტინე, მკვახე უარით პასუხობს. უარით განაწყენებულმა სოკოლოვმა თბილისში რუსეთის წარმომადგენელს დიდი აპლომბით აცნობა, რომ სოლომონი ყველა ანტირუსული ძალების ცენტრი ხდება კავკასიაშიო. ამან კიდევ უფრო გაუძლიერა ანტირუსული განწყობა სოლომონ I-ს: მან ახალციხის მმართველ შარიფ-ფაშასგან ქრთამი აიღო დამასკოური სპილოს ძვლის ტარიანი ხანჯლის და აბრეშუმის მწვანე სამი ხალათის სახით და დიდი სიამოვნებით დაახრჩობინა ქუთაისში დამალული ახალციხის ფაშობის პრეტენდენტი საბიდ ფაშა, რომელიც რუსეთთან მეგობრობის მიმხრე იყო, შემდეგ კი, უკვე მერამდენედ, სასწრაფოდ აფრინა კაცი სიცხით ჩახუთულ თავრიზში მდგომ ირანელ სარდალ პირ ყული ხანთან გეგმით - ერთობლივად ვილაშქროთ ქონებით გადატენილ თბილისშიო, და უფრო, რომ დაეხარბებინა ნირწამხდარი ირანელები, დაამატა - ავლაბართან არსებულ მეჩეთში რო იცოდეთ, მუჰამედ წინასწარმეტყველის, იდიდოს მისმა სახელმა, წმინდა წვერის ერთი ღერი ინახებაო; მაგრამ რუსთა ახალი ნაწილის ჩამოსვლამ მას ეს მზაკვრული გეგმა ჩაუშალა.

1802 წლის ბოლოს ქართლ-კახეთში რუსთა თავმოძვრენ გენერალი, გერმანული განმანათლებლობის და გოეთეს დიდი მოტრფიალე კნორინგი, ხისტი, გარუხებული ქართველი გენერლით პავლე ციციანოვით შეიცვალა. იგი ძალზე აგრესიული პოლიტიკის მომხრე იყო, თანაც ბოლო მეფის გიორგი XII-ის ცოლის, მუდამ დაღონებული და დათრგუნული მარიამ ციციშვილის ბიძაშვილიც იყო, ამიტომაც ერთადერთ ადამიანს, რომელსაც სატიკად ვერ იტანდა ქვრივი დედოფალი დარეჯანი იყო, რომელსაც საჯაროდ ეძახდა „ჰიდრა“-ს რუსეთის იმპერატორ პირფერ ალექსანდრე I-ის ბრძანებით მას ტყვეობიდან უნდა გამოეხსნა კონსტანტინე და ხელთ ეგდო დაუდევარი იულონ და ფარნაოზ ერეკლეს ძენი.

ამ მოთხოვნებს ციციანოვმა ისიც დაუმატა, რომ იმერეთის საზღვრებთან ჯარები განალაგა გენერლების ტუჩკოვისა და ბრონევსკის მეთაურობით.

ოთხი თვის მოლაპარაკების შემდეგ სოლომონმა კონსტანტინე

როგორც იქნა გაანთავისუფლა, ბიძების გადაცემაზე კი უარი განაცხადა. ეს სოლომონის ეშმაკური ნაბიჯი იყო: იგი უშვილო იყო და მემკვიდრედ მაინც კონსტანტინე ითვლებოდა, თანაც უფლისწულს თბილისში რუსების მოძულე სოლომონ ლიონისძე, აღმზრდელი გააყოლა, რომელიც თბილისიდან პეტერბურგში ელჩის სტატუსით უნდა წასულიყო. პარალელურად მეორე ელჩი ოსმალეთს გაგზავნა სავედრებელი არზით: დაეცვათ იგი „ამ დაწყევლილი“ რუსებისაგან, რომლებიც „ოი, საშინელებაჲ, მიცვალებულებს დოლების ბრაგუნის ხმაზე მარხავენ თურმე და თან კიდევ თავზე ხელოვნური თმები უკეთიათ!“

სანამ მომლოდინე სოლომონი პასუხს მიიღებდა, მანამდე გადაწყვიტა ოდიშის საბოლოო დამორჩილება და გრიგოლ დადიანის მოშორება. რუსეთმა დადიანის მხარე დაიჭირა და დაბოლმებულმა მეფემ ბრძოლა ვეღარ გაბედა. სოლომონს ვერც „საყვარელი ძმა დიდი და ბრწყინვალე ოსმალთ ხონთქარი“ გამოეხარჩლა, რადგან იგი ნაპოლეონს გამირულად და უიმედოდ ებრძოდა ეგვიპტის ძველ ჩამონგრეულ პირამიდებთან. ამასობაში სოლომონის ენალაქლაქა ელჩის შესახებ სტამბულში გაიგო რუსეთის ელჩმა სტამბულშივე, ანტიკური ხელოვნების ფანატიური მოტრფიალე იტალინსკიმ, რომელიც მაშინვე ოსმალთა სულთნის პირველ ვეზირთან, მუდამ ექსტავაგანტულად გამოწყობილ სეიდ-ფაშასთან გავარდა და რუსეთ-ოსმალეთის უფრო მჭიდრო დაახლოების მიზნით პირფერულად შეაპარა: ჩვენი ქვეყნების მეტი დამეგობრების საწინდრად, კარგი ხომ არ იქნება იმ ლაქის წაშლა, რასაც აია სოფიის დიდებული ტაძრის მინარეთები წარმოადგენენო? რაზეც სეიდ-ფაშამ მკვახედ მიახალა: თუ მხოლოდ ეს ლაქა არის ჩვენი დაახლოების ხელისშემშლელი, ეხლავე ვბრძანებ ეს ლაქა საძირკვლიანად ააფეთქონო!

ამის შემდეგ იტალინსკიმ იმერელი ელჩის ამბავი ციციანოვს სასწრაფოდ შეატყობინა. ამას დამატა სოლომონის მიერ ციციანოვ-დადიანის საიდუმლო მეკავშირე აზნაურ კვინიხიძის დაჭერა და ტრადიციული ძუის თოკით მისი დახრჩობა, რამაც ციციანოვი საბოლოოდ დაარწმუნა სოლომონის რუსეთისადმი ორგულობაში.

გულზვად ციციანოვს იმერეთის საბოლოო დასჯაში ოსმალეთი უშლიდა ხელს. ამიტომ მან იმერელი დიდებულები ადვილად მოქრთამა ოქროს მედლებით და პოზუმენტებით გაწყობილი სამხედრო ფორმებით, რამაც ღალატის ალბათობა გეომეტრიულად კიდევ უფრო გაზარდა და შემფოთებული სოლომონი იძულებული გახდა

1804 წლის აპრილში ბავშვებისაგან დაცლილ სოფელ ელაზნაურში ციციანოვთან ერთად ხელი მოეწერა დოკუმენტზე „ამიერიდან მეგობარი და მამა-მარჩენალი“ რუსეთის ქვეშევრდომობაში ნებაყოფლობით შესვლის შესახებ. მთავარი როლი იმერელთა მოქრთამვაში ეკუთვნოდა მეფის სახლთუხუცესს ეშმაკ ზურაბ წერეთელს.

მეორე დღესვე რუსთა ჯარი დოლების გამაყრუებელი ბრაგუნით და ბუკ-ნალარების ცემით იმერეთში შედის და 25 აპრილს იმერეთი უკიდევანო რუსეთის ერთ-ერთ მცირე შემადგენელ გუბერნიის ნაწილად ოფიციალურად გამოცხადდა. რუსეთმა ეს აქტი 1804 წლის 4 ივლისს დაამტკიცა.

რეგიონის შემდგომი ათვისებისათვის აუცილებელი იყო რუსთა ჯარის რაოდენობის გაზრდა, მაგრამ ერთადერთი გზა რუსეთიდან საქართველოში – დარიალის ხეობა არასაიმედი იყო ამ ველური მთიელი კავკასიელებისა და დაუნდობელი ზამთრის გამო. ამიტომ რუსეთმა მიზანშეწონილად და სრულიად კანონიერად ჩათვალა საპორტო ფოთის მითვისება, რომელშიც თურქული გაძვალტყავებუ-ლი გარნიზონი იდგა XIV საუკუნის დროინდელი ბრინჯაოს ხუთიოდე ზარბაზნითა და უკვე ანტიკვარიატად ქცეული ორმოცდაათი-ოდე არკებუზით.

ამ მიზნის გასარკვევად და მოსაგვარებლად ციციანოვმა იმერეთში ენაწყლიანი მოხელე პეტრე ლიტვინოვი გაგზავნა. მან მოინდომა მეფე–დადიანის შერიგება, რამდენჯერმე შეახვედრა კიდეც ერთმანეთს, მაგრამ იმის გამო, რომ დადიანის კუთვნილი ლეჩხუმი მეფეს ჰქონდა დაპყრობილი, ხოლო რუსეთი დადიანს უჭერდა მხარს, მხარეთა საბოლოოდ შერიგება ვერ შედგა. ამით შემფოთებული ლიტვინოვი ქუთაისს ვეღარ გაჩერდა სოლომონის მხრიდან შესაძლო ღალატის გამო და სუჯუნის ძველ და დახავსებულ მონასტერში გადავიდა, რომელის მთავარეპისკოპოსი რუსეთის ერთგული ბესარიონ ჭყონდიდელი იყო. სოლომონმა სცადა გრიგოლის გადმობირება რუსეთის წინააღმდეგ, რამდენიმე საუკეთესო ცხენიც გაუგზავნა, მაგრამ ამაოდ და ამიტომ, სხვა რა გზა-ღა დარჩენოდა? ადგა და გრიგოლი მოაწამვლინა. სამაგიეროდ ლიტვინოვმა მეფეს დაუპირისპირა გურია და ლეჩხუმი. გზამოჭრილმა და დაბნეულმა სოლომონმა სხვა ვერაფერი შესძლო და მხოლოდ აგიტაცია–შეპირებებით კონსტანტინე ბატონიშვილი 1804 წელს თბილისიდან გამოიტაცა და თავისთან ქუთაისის მახლობლად ტყეში ცხვარივით გადამალა.

რადგან ფოთთან დაკავშირებული პრობლემა რუსეთმა ვერაფრით ვერ მოაგვარა, ამიტომ ფოთის ალტერნატივად რუსეთმა სასწრაფოდ ახალი პორტის, რედუტ-კალეს (ყულევი) მშენებლობა წამოიწყო, რომელმაც უკვე 1804 წელს საკუთარი პერსონით გაზღვნილ გენერალ რიკჰოფის ჯარი მიიღო. ამას დაემატა იმერეთში აღმოსავლეთ საქართველოდან რუსების მმართველობას გამოქცეული დამშეულ-გადარიბებულ თავად-აზნაურთა მიერ ფანტასტიკური ჭორების გავრცელება რუსების საშინელი საქციელებისა და მოპყრობის შესახებ, (არ დაიჯერებთ და რუსებს ფულის მაგივრობას თურმე ქაღალდი უწევთ! და კიდევ, უფრო მეტი საშინელება: მკვდრებსა მუზიკის ხმაზედ მარხავენო!) და დაშინებულმა და შემფოთებულმა სოლომონმა სრულიად საფუძვლიანად მიმართა გენერალ ციციანოვს: ეს ყველაფერი ჩემს დასაჭერად ხომ არ კეთდება?

თავის ძალაში დარწმუნებულმა ციციანოვმა მშვიდად უპასუხა: თქვენს ბრწყინვალეობის დასაცავად მოსულ დამხმარე ძალას უნდობლად ნუ ეკიდებით, თორემ ჩვენი დიდებული იმპერატორის მიმართ კანონიერ დამნაშავედ ჩაითვლებითო...

ამასობაში კი დამშეულ იმერეთში მდგარ ხმაურიან რუსთა ჯარს დოლების ბრაგუნითა და ომახიანი ურა-ურას შეძახილებით კიდევ შეემატა დარჩენილი რუსული ნაწილები და დაიმედებულ-დამშვიდებული ენაწყლიანი ლიტვინოვი სუჯუნის დაბზარულ-დახავსებულ მონასტრიდან ქუთაისში გაბედულად შემოდის. სამაგიეროდ ახლა შიში მიეძალა სოლომონს და რუსებს რომ არ დაეტყვევებინათ, ახლა ის გაერიდა ქუთაისს – ვარციხეში გადაბარგდა. ლიტვინოვმა გაქცეულ მეფეს გულისამაჩუყებელი წერილი დაადევნა მკაცრი ტონით: ნუ გეშინია მეფეო, უკან მშვიდობიანათ დაბრუნდი, კონსტანტინე ბატონიშვილი გადმოგვეცი და თან რუსეთის ბრწყინვალე იმპერატორის სახელზე სამადლობელო წერილი გააგზავნეო.

ამის საპასუხოდ სოლომონმა ჯიბრით კონსტანტინე საჩქაროდ ოფიციალურად იშვილა და შემოუთვალა: ჩემს ჩამოსვლამდე ქუთაისიდან ეგ თქვენი რუსთა ჯარი გავიდეს და კიდო, დადიანს, რომ ლეჩხუმი აჩუქეთ, ის მხარე მე გადმომეცითო.

ამასობაში ციციანოვი 1806 წელს ბაქოს აღებას შეუდგა, თებერვალში აიღო და როცა თვალ ცრემლიანი სულთან ჰუსეინ ყული ხანი მორჩილების ნიშნად ბაქოს გასაღებს აძლევდა, მისმა მხლებელმა იბრეიმ ბეიმ უკან მიპარვით დამბაჩით მოკლა ციციანოვი, მეორე გასროლით კი მისი ადიუტანტი ქსნის ერისთავი. ამით გაავებულმა

რუსეთმა საპასუხოდ აქტიური მოქმედება ვერ განახორციელა, რადგან ნაპოლეონს ებრძოდა ფრიდლანდში. ჯერ კიდევ წყნარ 1811 წლამდე ციციანოვი განავითიანებულ ბაქოში იყო დაკრძალული, შემდეგ კი თბილისში სიონის ტაძარში გადმოასვენეს. მისი ადგილი კი მოქმედ არმიაში გენერალმა გუდოვიჩმა დაიკავა.

ამ „რუსული დაბნეულობით,, ისარგებლა სოლომონ II-მ, თანამდებობიდან გადააყენა „პრორუსული,, ზურაბ წერეთელი და ახალციხე–სტამბულში დახმარების თხოვნით წერილები აფრინა. ოსმალეთმა სოლომონი დაამშვიდა, დააიმედა და 1806 წელს რუსეთთან ფორმალურად დაწყებული ყველასათვის გაუგებარი ომი აქტიურ, მაგრამ უშედეგო ფაზაში გადაიყვანა. მიუხედავად ამისა სოლომონს რუსეთის მაინც ეშინოდა და ამ ომში მოჩვენებით ნეიტრალიტეტს იცავდა, ოღონდ ნებისმიერ ინფორმაციას სტამბულში სიხარულით გზავნიდა.

ომის მიმდინარეობის დროს კვდება გენერალი რიკჰოფი და მისი ადგილი დაიკავა დიმიტრი ორბელიანმა, რომელმაც სოლომონს შემორიგება შესთავაზა. სანაცვლოდ სოლომონმა დაჟინებით კვლავ ეს ღვთისაგან მივიწყებული ლეჩხუმი მოითხოვა.

1809 წელს კავკასიის მმართველად გაბერილი გუდოვიჩის ნაცვლად ენერგიული ტორმასოვი დაინიშნა, რომელმაც სოლომონის დისკრედიტაციის მიზნით იმერეთში ანტისოლომონისეული პროკლამაციების აქტიური გავრცელება დაიწყო. მაგრამ ამ პოლიტიკამ უკუშედეგი გამოიღო – იმერელი თავადები სოლომონს კიდევ უფრო დაუახლოვდნენ, რაც რუს ჯარისკაცებზე ხშირ და დაუნდობელ თავდასხმებში გამოიხატა, ხოლო ტორმასოვის მორიგ წინადადებაზე შემორიგებოდა რუსეთს, სოლომონმა ისევ ლეჩხუმი შეახსენა.

1809 წელს ტორმასოვმა გაიგო, რომ სოლომონი საიდუმლოდ ახალციხიდან ფულით ირანში გაქცეულ ბიძას „რუსოფობ,, ალექსანდრე ერეკლეს ძეს ეხმარებოდა, ამიტომ მეფის შემორიგებაზე ხელი აიღო და მისი ფიზიკური განადგურება გადაწყვიტა, მაგრამ მკვლელები ვერ იპოვა. სამაგიეროდ 1809 წელს რუსებმა ოსმალთაგან გაანთავისუფლეს მონღები და უამრავი გრძელი ჯაჭვ-ბორკილებით გადავსებული ფოთი, რომლის აღებაში დიდი როლი ითამაშა მამია გურიელმა. ამისათვის რუსებმა მამია სოლომონის ქვეშევრდომობისაგან გაანთავისუფლეს და დამოუკიდებელ სამთავროდ სცნეს, ოღონდ რუსეთის გავლენის ქვეშ. ჯერი იმერეთზე მიდგა. ამიტომ აქ ორი პოლკი შემოიღეს – სიმონოვიჩის და მოგილევსკის. ტორმასოვმა

ჩათვალა, რომ მეფე რუსეთის მხარეზე აღარავითარ შემთხვევაში აღარ გადმოვა, თანაც გააგებინეს, რომ რუსთა დამხმარე ჯარს სწრაფად რომ არ ეარა სოლომონი ხიდებს და გზებს ანგრევდა, რუსის ჯარს ახალციხიდან ჩამოტანილ ჭირით დახოცილ საქონლის ხორცს ასყიდებდა, ჩუმად ჯარისკაცებში ქართლიდან ჩამოტანილ ჭაჭის არაყს არიგებდა და შემდეგ გამომთვრალ დამარტოხელებულ რუს ჯარისკაცებს უმოწყალოდ კლავდა და ამით გაავებულმა ტორმასოვმა ბრძანა სასწრაფოდ 1810 წლის 20 თებერვალს ქუთაისში, სამეფო სადგომის წინ თავშეკავებულად, მაგრამ ოფიციალურად გამოეცხადებინათ „ბუნტოვშიკი მეფე“ სოლომონის გადაყენება და იმერეთის სამეფოს სამუდამო გაუქმების ცნობა. ამასვე მოჰყვა გენერალ სიმონოვიჩის მკაცრი ბრძანება: რომელი თავადიც მეფეს მიემხრობა, მას მამულები ჩამოერთმევაო!

ამიტომაც ამბოხებული სოლომონი მარტო აღმოჩნდა და სურვილი გამოთქვა: შერიგების მიზნით ტორმასოვს ქართლში შეეხვდებო.

იგი 500 იმერელი თანმხლები პირით მიყრუებული ზაღდადის სალხინოს ხავსმოდებულ მონასტრიდან წამოვიდა და ქართლის საზღვრებამდე ერთიანად დამაბულმა სიმონოვიჩმა დიდის პატივით მოაცილა დოლების ბრაგა-ბრუგით, აქედან კი ქათმების კრიახით გაყრუებულ სოფელ ვარიანამდე უკვე დამშვიდებულმა ოფიცერმა მოგილევსკიმ. აქ მათ დახვდა მკვახე ხასიათის გენერალი ტორმასოვი, რომელმაც მეფეს მკვახედვე განუცხადა, რომ სანამ მისი უდიდებულესობა იმპერატორისაგან პასუხი არ მოვიდოდა, თბილისში უნდა ყოფილიყო „საპატიო სტუმრად,, ამიტომ მისი 400 მხლებელი უკან გააბრუნეს, 100 თბილისში გამოაყოლეს, მაგრამ ქალაქში შემოსვლისთანავე ისინიც მოაშორეს და თვით მეფე კი ორთაჭალაში, მტკვრის ნაპირას მდგარ თავად სუმბათაშვილის რიყის ქვით აშენებულ სახლის ნესტიან სარდაფში მარტო ჩაკეტეს.

მეფე ტყვეობიდან ქაიხოსრო წერეთლის ეშმაკური გეგმის მიხედვით გამოიქცა: მეფემ მოსამსახურის, იოანე სალარიძის ტანსაცმელი ჩაიცვა, მეფის ტანსაცმელი კი მოსამსახურემ, შემდეგ გადაცმულმა მეფემ პირსახე ნაცრით მოითხვარა, თხის ტყავის ტიკჭორით ხელში ორ დარაჯს გაუარა და მათ შეკითხვაზე

– სად მიხვალ?

- მტკვარზე წყლის მოსატანადო, - უპასუხა.

მტკვრის თევზის სუნად აქოთებულ სანაპიროზე გასული მეფე საჩქაროდ გაიყვანეს ქალაქიდან და აქ ორთაჭალის მისადგომთან,

ძველ დაბახანაში მას ელოდებოდნენ ქაიხოსრო, გიორგი და სიმონ წერეთლები, დავით აბაშიძე, ბერი ლორთქიფანიძე და სხვები, სულ 23 კაცი; გამოპარვის წინ მეფემ მაგიდაზე დატოვა მისთვის 1804 წელს გადაცემული ალმასებით შემკული ძვირფასი ალექსანდრე ნეველის ორდენი, ოღონდ ალმასების გარეშე.

შეთქმულები წავიდნენ ხორველა მოდებულ ახალციხეს, სადაც მას დახვდნენ სოლომონ ლიონიძე და მალხაზ ანდრონიკაშვილი.

ამ დროს ტორმასოვი ყარაბაღს იყო. ამ ამბის გაგებისთანავე სასტიკი ზომები მიიღო: დააპატიმრეს და ფოთის სამხედრო ციხეში ჩაყარეს იმ თავადთა ოჯახის წევრები, რომლებიც მეფეს ახლდნენ, აქვე გამოკეტეს სოლომონის ატირებული ცოლი მარიამ დადიანი, გენერალი როზენი სამხედრო ტრიბუნალს გადასცეს, თბილისის კომენდანტი მაიორი კომნენი, ძველი, ამაყი დიდებული ბიზანტიის სამეფო დინასტიის წარმომადგენელი, აქოთებულ ციხეში ჩასვეს, თბილისის ბოქაულს ბარათაშვილს თავადის წოდება ჩამოართვეს, საჯაროდ გაწკეპლეს და დიდ, ცივ და უსაზღვრო ციმბირისაკენ უბრალო ჯარისკაცად გაამწესეს, ხოლო გაქცევაში აქტიური ხელშემწყობნი: ავთანდილოვი, პენტელოვი, ფალავანდოვი და მურასოვი დახვრიტეს და გვამები ავლაბარში არსებულ საერთო სანაგვეზე ჩაფლეს. მემამოხე მეფის ერთგული მსახურები: თაბუკაშვილი და სალარიძე (რომლის ტანსაცმელიც მეფემ ჩაიცვა) გააციმბირეს.

1810 წლის 13 მაისს ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებული სოლომონი ახალციხის, არა ახლა უკვე ჩილდირის ვილაიეთ სოფელ ქოთელში შეხვდა ბიძას, მასავით ყველაზე გადამტერებულ ალექსანდრე ერეკლეს ძეს. მათ გადაწყვიტეს აქტიური მოქმედების დაწყება „ამ ღვთის წყევლა“ რუსთა წინააღმდეგ. სოლომონი 600 დაქირავებულ-დამშეული ქიზიყელი ლეკით გადმოდის იმერეთში, სახლდება სოფელ ტყაჩირში ერთგულ აგიაშვილების ხის ოდაში და აქედან იწყებს რუსთა წინააღმდეგ აჯანყებას. ერთადერთი პრობლემა, რომელიც სოლომონს ამ აშშორებულ ახალციხეში „აკვიდა“ ქეცი იყო, რომელიც მას ხანმოკლე სიცოცხლის ბოლომდე უკვე აღარ მოსცილდება.

პირველი შეტაკება რუსებთან მოხდა 22 ივნისს გახრიოკებულ სოფელ საქარაში, აქედან გადავიდნენ სოფელ კორტოხში, შემდეგ სოფელ ჭიშურაში. დიდი იმედითა და გონორით დაწყებული ხმაურიანი აჯანყება მალე მთელს იმერეთს მოედო და სოლომონის მნიშვნელოვანი გამარჯვებით მიმდინარეობდა. ამას ხელს უწყობდა სოლომონის მომხრეთა პარტიზანული მოძრაობა დაბურულ ტყეებსა

და უკიდევანო ჭალებში, გზების დანგრევა (ჯერ რა გზები იყო და რაც იყო ისიც ინგროდა!), ხალხის ფიზიკური დამინება და ათასგვარი საშინელი და ფანტასტიკური ჭორების გავრცელება რუსებზე. თანაც ამ დროს რუსეთი ეომება როგორც ნაპოლეონისაგან წაქეზებულ მარაზმატიკულ ოსმალეთს, ისე აღარაფრის მაქნის ირანს და თანაც ამასთანავე, „ევროპის პოლიტიკური მკერავის“ ნაპოლეონის შემოჭრის მოლოდინშია.

29 ივლისს ბარონი როზენი ტრიბუნალმა გაამართლა და ღირსების აღდგენის მიზნით ჯარი მისცა, რომლითაც მან ქუთაისთან აჯანყებულთა ალყა გაარღვია და ქალაქის გარნიზონს შეუერთდა. სოლომონმა აფხაზთა მთავარი ასლან ბეგ შერვაშიძეც შეიკავშირა, თან ძვირფასი საჩუქარიც გაუგზავნა - ზიდის ალექსანდრეს მიერ ნაჩუქარი გრძელი ჩეჩნური ხმალი, მაგრამ საპასუხოდ გაქუცულ სოხუმს რუსული სამხედრო გემი მიადგა და შესაბამისად თავადმა შერვაშიძემ „ამ ქეციან სოლომონს“ ხმალი უკომენტაროდ უკან დაუბრუნა.

გადამწყვეტი ბრძოლა 26 აგვისტოს სოფელ მაღლაკთან მოხდა. ბრძოლა 5 საათს გაგრძელდა, გაიმარჯვა სიმონოვიჩმა და კავშირი ქუთაისსა და თბილისს შორის ისევ აღდგინა. 25 სექტემბერს კი სიმონოვიჩმა მეფე ბოლო პუნქტიდანაც – ხონისწყლის დაჭაობებულ-დახავსებულ ხეობიდანაც გამოაგდო და დამარცხებული მეფე თავის მომხრეებთან ერთად აშშორებულ ახალციხეში გადადის. აქედან სოლომონმა ბრძოლის გასაგრძელებლად „ბოლო იმედს“ ისტამბულს მოწიწებით დამხმარე ჯარი სთხოვა, მაგრამ ოსმალთა ჯარი რუსების წინააღმდეგ დუნაიზე თვითონვე სასტიკად მარცხდებოდა და თანაც ახალციხეში, ისევ ღმერთმა იცის, მერამდენედ ჭირი გაჩნდა. ამას დაემატა რუსეთ-ოსმალეთის საზავო მოლაპარაკება ბუქარესტში და სოლომონი ისევ მარტო აღმოჩნდა.

ჭირმოდებულ ახალციხიდან სოლომონი ხრიოკ ერევანს მიდის და აქედან „ისევ ქართველთა ბოლო იმედ“ ირანს სთხოვს დახმარებას, მაგრამ ამაოდ. ამიტომ ისევ გაჭირიანებულ ახალციხეში ბრუნდება და აქედან „დედამიწაზე ზეციდან ჩამოსულ მზეს“ (მისი სიტყვებით) ნაპოლეონს ისტამბულში უგზავნის წერილს დახმარების თაობაზე: „...დაე თქვენს უდიდებულესობის მაღალ წოდებებს დაემატოს აზიის იმპერატორობა! ოღონდ ჩვენ გაგვანთავისუფლე, თქვენი მონა, იმერთა მეფე!“

ამ მხურვალედ დაკოცნილ წერილს ვენეციის კუნძულ ლიდოდან ჩამოსული, საეჭვო საქმიანობის სომეხი მღვდლის ხელით უგზავნის

იმპერატორს, რომელსაც თან საკმაო ოქროც გააყოლა „მზის და ღმერთის სადარ ნაპოლეონისათვის გადასაცემად,, მაგრამ პასუხი არ მიიღო. ბოლოს ყველასაგან მიტოვებული და თავგზააზნეული საცხოვრებლად არზრუმში მიდის, მაგრამ არზრუმის ფაშამ იგი ქალაქიდან ქვების სროლით გააგდო ძველი წყენის გამო - ერთხელ დოსტობა და პატარა ბაჩა-ბიჭები რომ გთხოვე გამოსაგზავნათ, უარი რათ მითხარიო!. გადაქანცული და დაღლილი მეფე ახლა ტრაპიზონში გადადის.

აჯანყებულთა ნაწილი მეფესთან დარჩა, ნაწილი ჩუმად, უკან იმერეთში დაბრუნდა. თავისი იმპოტენტი ქმრის შემეყრე, მუდამ სევდიანი უშვილო მეგრელი დედოფალი მარიამ დადიანი პროვინციულ და წყნარ ვორონეჟში გადასახლეს და იქ 1841 წელს ჩუმად გარდაიცვალა კიდევ.

ტორმასოვის ბრძანებით, ვინც ოთხი თვის განმავლობაში მოინანიებდა აჯანყებაში მონაწილეობას, მას პასუხისმგებლობა ეხსენებოდა. ამით ბევრმა ისარგებლა და მშვიდობიან ცხოვრებას დაუბრუნდა - უფრო სწორად „სათაყვანო დავითის სადარ მეფეს“ აშკარად თუ შეფარვით უღალატეს; დამარცხებულისაგან აბა რა სარგებელი იყო? სამაგიეროდ ძალიან მალე დაღისტნური ნაბდის ქსოვილისგან შეკერილ ჩოხა-ახალუხებზე დიდი სიამოვნებით დაიკიდეს ალექსანდრე ნეველის მესამე ხარისხის ჩინ-მედლები. აბა რა!

თითქმის ყველასგან მიტოვებული მეფე, ნაადრევად დაბერებული და დაჩაჩანაკებული 1815 წლის 7 (19) თებერვალს ამ აქოთებულ ტრაპიზონშივე აპოპლექსური დამბლით გარდაიცვალა 42 წლისა. დაკრძალეს იქვე, ნისის წმინდა გრიგოლის სახელობის ბერძნული ეკლესიის მოუვლელ და გაბალახებულ ეზოში.

მის, გრანიტისგან საჩქაროდ გამოთლილ, აყუდებულ რუხ ქვას, ერთ მხარეზე, ერთმანეთზე გადახლართული ორნამენტული ქართული ასოებით ეწერა:

„დარდისაგან გატეხილ, ავადმყოფობისაგან ლოგინად ჩავარდნილი, მას შემდეგ რაც ვაღიარე ცოდვები ჩემი და წმინდა ზიარება მივიღე ჩემი აღმსარებლისა, იმერეთის სამეფო კარის მღვდლის იესესაგან, განვისვენებ წმინდა ადგილზე მე, სადაც ჩემს საფლავს ყოველთვე ნაკურთხი წყალი ესხურება. უცხოვ, ნახე სად არს დამარხული უცხო კაცი, ნახე მეფის საფლავი. ვინაც კი ჩემი ოჯახის წევრთაგან ტრაპიზონს მოჰხვალთ, ნახეთ აქ მწოლიარე მეფე, შეჰსთხოვეთ მისთვის შენდობა და ზეციური სასუფეველი.“

საფლავის ქვის მეორე ჩრდილოვან გვერდზე ეწერა:

„საფლავსა ამასა შინა მდებარე არის იმერთა მეფე სოლომონ, წელი ჩყიე. ჰსაჯენ უფალო, მავნებელნი ჩემნი და ჰბრძოდე მბრძოლთა მათ ჩემთა. მომიხსენიეთ მე ძმანო საფლავსა ამას მდებარე მეფე სოლომონ;

განმეძარცვა მე პირველქმნილი სიკეთე და მშვენება და მდებარე ვარ შიშველი და კდემული საფლავსა ამას შინა, ტომისაგან დავითისა, შთამოსრული ბაგრატიონი მე არჩილისა, სრულიად იმერთა მეფე სოლომონ, რომლისთვისაც ვითხოვ შენდობასა,,

